

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

საბა ბარბაქაძე

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების როლი
რევილუციამდელ და პოსტრევილუციურ საქართველოში

სამაგისტრო პროგრამა: ეკონომიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ვლადიმერ პაპავა

თბილისი 2019

ანოტაცია

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის დაარსების 74 წლის შემდეგ კვლავ აქტუალურია საკითხი ამ ინსტიტუტების ეფექტიანობისა და მნიშვნელობის როლზე გლობალური ეკონომიკისათვის. მოცემული ფინანსური ინსტიტუტების მიზნებმა და ფუნქციებმა თავიანთი არსებობის მანძილზე მნიშვნელოვანი ევოლუციური გზა განვლო. წარმოადგენენ თუ არა დღეს ისინი შესაბამის ინსტიტუტებს ისეთი მსოფლიოსათვის, სადაც ფინანსური კრიზისები, მაკროეკონომიკური დისბალანსები და ეკონომიკური განვითარების უთანასწორობა საჭიროებს განსაკუთრებულ ზედამხედველობასა და მათი პრევენციისათვის შესაბამისი ზომების მიღებას? მოცემული ნაშრომი განიხილავს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ჩამოყალიბების ისტორიულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ წინაპირობებს, მათ გავლენას ამ ინსტიტუტების თავდაპირველ მიზნებსა და ფუნქციებზე, ამასთანავე იმ პოლიტიკურ-ეკონომიკური ფილოსოფიების როლის შესახებ, რომლებმაც სხვადასხვა დროს ზეგავლენა მოახდინა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტთა ფუნქციონირებაზე. ნაშრომი ასევე ეხება თანამედროვე ეპოქის ყველაზე მწვავე, 2008 წლის კრიზისამდე და კრიზისის შემდგომ პერიოდს, მოცემული ინსტიტუტების ფუნქციონირების ძირითად ასპექტებს, მათ როლს ამ კრიზისის პრევენციასა და შემდგომი გართულებების თავიდან აცილებაში.

გაანალიზებულია დამოუკიდებელი საქართველოს ურთიერთობები საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან საქართველოს ორი ერთმანეთისგან განსხვავებული მთავრობის დროს. შეფასებულია ამ ინსტიტუტთა როლი საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ტრანსფორმაციის პროცესში მათ მიერ მიღწეული წარმატებებისა და შეცდომების კონკრეტული მაგალითებით.

Annotation

THE ROLE OF INTERNATIONAL FINANCIAL INSTITUTIONS IN PRE-REVOLUTIONARY AND POST-REVOLUTIONARY GEORGIA

Saba Barbakadze

74 years after the founding of the International Monetary Fund and the World Bank, is still an important issue for their effectiveness and importance in the global economy. The objectives and functions of these Financial Institutions have passed the important evolutionary path of their existence. Is it an appropriate model for a world where macroeconomic imbalances, financial crises, and disparities in economic development require special supervision and adequate measures for their prevention? This work examines the historical, economic and political prerequisites of the establishment of International Financial Institutions, their influence on the original goals and functions of these Institutions, as well as on the role of political and economic philosophies influencing the functioning of International Financial Institutions at different times. The work also deals with the most urgent of the modern era, the 2008 crisis and the post-crisis period, the main aspects of the functioning of these institutes, their role in preventing this crisis and preventing further complications

Independent Georgia relations with International Financial Institutions are analyzed during two different Georgian governments. The role of these institutions is assessed by specific examples of success and mistakes achieved by them in transformation of the transition to the market economy of Georgia's economy.

სარჩევი

შესავალი.....	6
თავი 1. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ჩამოყალიბების წინაპირობები.....	9
1.1 პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულება.....	10
1.2 დიდი დეპრესია.....	16
1.3 მეორე მსოფლიო ომი.....	23
თავი 2. საერთაშორისო სავალუტო ფონდი 2008 წლის ფინანსურ კრიზისამდე და მის შემდგომ.....	30
2.1 ბრეტონ-ვუდის სისტემის დასასრული.....	30
2.2 პოლაკის მოდელი.....	33
2.3 ნეოლიბერალიზმი და ვაშინგტონის კონსენსუსი.....	36
2.4 სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ფინანსური კრიზისი.....	39
2.5 2008 წლის ფინანსური კრიზისი.....	46
2.6 ინფლაციის თარგეთირება.....	50
თავი 3. საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლი რეკონსტრუქციამდე საქართველოში.....	54
3.1 მიღწევები.....	56
3.2 რუბლის ზონა.....	58
3.3 დამატებული ღირებულების გადასახადი.....	59
3.4 საგადასახადო განაკვეთები.....	61
თავი 4. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის შეცდომები პოსტრეკონსტრუქციურ საქართველოში.....	64
4.1 კორუფციული სქემა.....	65
4.2 საკუთრების უფლებების ხელყოფა.....	66

4.3 „ვარდისფერი“ პრივატიზაცია.....	67
4.4 მასობრივი დერეგულაცია.....	68
დასკვნა.....	70
ბიბლიოგრაფია.....	71

შესავალი

თემის აქტუალობა. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, 1944 წელს ბრეტონ-ვუდსის სისტემის დაარსების დღიდან მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ მსოფლიო ეკონომიკურ კონიუნქტურაზე. მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ჯეროვნად ახერხებენ ადაპტირებას სწრაფად ცვალებად სამყაროში საერთაშორისო ეკონომიკური სტრუქტურისათვის საჭირო რეფორმების განხორციელების გზით. მეორე მხრივ, არიან ისეთებიც, ვისაც სწამს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ადგილი არაა მოქნილი გაცვლითი კურსებისა და ღია კაპიტალის მქონე სამყაროში. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასება განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე ეკონომიკური და ფინანსური კრიზისების ფონზე, რა როლი აკისრიათ მათ მოცემული კრიზისების პროგნოზირებაში, ქვეყნების ფინანსურ დახმარებასა და რჩევების მიცემაში.

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ახლად წარმოქმნილი ყველა სუვერენული სახელმწიფო შეუერთდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს, რის შედეგადაც ისინი გადაიქცნენ ჭეშმარიტად გლობალურ ინსტიტუტებად. დღეს განსაკუთრებით აქტუალურ საკითხს წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ურთიერთობის განხილვა განვითარებად ქვეყნებთან, რა როლი მიუძღვით მათ ამ ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებასა და რამდენად ადეკვატურია მათთვის მიწოდებული რეკომენდაციები.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების განვითარების ისტორიის შესწავლა და მათი როლის შეფასება დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში. აქედან გამომდინარე, კვლევის ამოცანებია:

- საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის დაარსების წინაპირობების განხილვა;

- მათი საქმიანობის დაწყების შემდეგ იმ ძირითადი მოვლენების განხილვა, რომელთაც მნიშვნელოვნად შეცვალეს ამ ინსტიტუტთა მიზნები და ფუნქციონირების მექანიზმები;
- იმ მთავარი პოლიტიკურ-ეკონომიკური იდეოლოგიების როლის განხილვა, რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელობდნენ მოცემული წამყვანი ფინანსური ინსტიტუტები უკანასკნელი 30-40 წლის განმავლობაში;
- მათი როლის შეფასება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ფინანსური კრიზისისა და 2008 წლის კრიზისის დროს;
- საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში შეცდომებისა და მიღწევების განხილვა.

კვლევის ობიექტია საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური ფენომენი.

კვლევის საგანია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის განხილვა, მისი გავლენა ეკონომიკურ და ფინანსურ კრიზისებზე და მათი როლის შეფასება საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი. ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს კვლევის სისტემური, სტრუქტურულ-ფუნქციონალური, შედარებითი და კონკრეტულ-ისტორიული მეთოდების ერთობლიობა, რაც იძლევა მოცემული პრობლემის კომპლექსურად გამოკვლევის საშუალებას, მისი ინტერდისციპლინური ხასიათის გათვალისწინებით. ამასთან ერთად, გამოყენებულია ინდუქციის და დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები. კვლევა ეფუძნება გამოჩენილი ქართველი და უცხოელი მკვლევრების წიგნებს, სამეცნიერო პუბლიკაციებს, სტატიებს, მონოგრაფიებს, საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკში დასაქმებული მეცნიერების ანალიზებს ამ ინსტიტუტების საქმიანობის შესახებ, მათ რეკომენდაციებს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოხსენებებს.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მეცნიერული დამუშავების დონე. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ჩამოყალიბების წინაპირობების, მისი ფუნქციებისა და მიზნების, შემდგომი განვითარების შესახებ უამრავი მეცნიერის გამოკვლევა არსებობს. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის 1997 წლის ფინანსური კრიზისისა და 2008 წლის ფინანსურ კრიზისებთან დაკავშირებით ამ ინსტიტუტების როლზე არაერთ ცნობილ მეცნიერს გამოუთქვამს თავისი მოსაზრება, განსაკუთრებით გამორჩეულნი არიან ცნობილი ამერიკელი ეკონომისტები ჯოზეფ სტიგლიცი და ჯეფრი საქსი, რომლებსაც სხვადასხვა დროს ამ ინსტიტუტებში მუშაობის დიდი გამოცდილებაც აქვთ.

სამწუხაროდ, მწირია ინფორმაცია ამ ინსტიტუტთა როლის შესახებ ზოგადად პოსტ-საბჭოთა ქვეყნების სოციალისტური ეკონომიკური წყობილებიდან საბაზრო ტიპის ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში, განსაკუთრებით საქართველოსთან დაკავშირებით. ამ თემასთან დაკავშირებით გამორჩეულია პროფესორ ვლადიმერ პაპავას ნაშრომები, „საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები“ (2000) და „საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები“ (2015), რომლებშიც კონკრეტული შეცდომებისა და მიღწეული წარმატებების განხილვით შეფასებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის როლი საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციაში.

თავი 1. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების

ჩამოყალიბების წინაპირობები

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ჩამოყალიბების წინაპირობად იქცა მე-20 საუკუნის ისტორიული ხასიათის მქონე პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენები, რომლებიც დღესაც აქტუალურად განიხილება და არაერთი მეცნიერის შესწავლის საგანს წარმოადგენს. 1944 წელს, ბრეტონ ვუდსში, როდესაც მიიღეს გადაწყვეტილება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ფუნქციონირების თაობაზე, მათ დამფუძნებლებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ამ ინსტიტუტების როლის შესახებ ომის შედეგად დაზარალებული მსოფლიო ეკონომიკის აღორძინებასა და მსოფლიოში მშვიდობის დამყარებაში. საერთაშორისო მონეტარული შეთანხმების მთავარ მიზნებს წარმოადგენდა გაცვლითი კურსების სტაბილურობის შენარჩუნება, ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება, ეკონომიკური და პოლიტიკური ნაციონალიზმისგან თავის არიდება. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ჩამოყალიბებისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში არსებული პრობლემების გადაჭრისას დაშვებული შეცდომების თავიდან აცილებას. ოქროს სტანდარტისა და მცურავი სავალუტო კურსების ჩავარდნები და ბილანტერალიზმი ის მთავარი საკითხებია, რომლებიც მნიშვნელოვან დაბრკოლებებს წარმოადგენდა მე-20 საუკუნის მოცემულ მონაკვეთში (Bordo, 1992: 10). საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ჩამოყალიბების წინაპირობები საკმაოდ შთამბეჭდავია და საჭიროა მისი უფრო მეტად სიღრმისეული განხილვა. პირველი სამი ძირითადი მოვლენა - პარიზის სამშვიდობო კონფერენცია, დიდი დეპრესია და მეორე მსოფლიო ომი შეგვიძლია მივიჩნიოთ მრავალმხრივი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და მათი შესაბამისი ფორმების განმსაზღვრელ წინაპირობად (Boughton, 2004: 3). ზემოთ მოცემული მოვლენებს შორის შესაძლებელია მჭიდრო მიზეზ-შედეგობრივი კავშირების პოვნა. დიდი დეპრესია მეტწილად პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ეკონომიკური პრობლემების გადაუჭრელობით შეგვიძლია ავხსნათ, მეორე მსოფლიო

ომი - დიდი დეპრესიით, ხოლო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შექმნის იდეა - ზემოთ მოცემული მოვლენების ურთიერთკავშირით.

1.1 პარიზის სამშვიდობო კონფერენცია

პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) წარმოშობის მიზეზებისა და საფუძვლების შესახებ განსხვავებული შეხედულებები არსებობს, მაგრამ მის დამანგრეველ შედეგებზე ყველა თანხმდება. ამ ომმა განსაკუთრებული ზიანი ევროპულ ქვეყნებსა და მის მოსახლეობის მიაყენა. ევროპაში აღმოცენებულმა ნაციონალიზმმა და მილიტარიზმმა მილიონობით სამხედრო და სამოქალაქო პირის სიცოცხლე შეიწირა. ადამიანისეულ დანაკარგთან ერთად დიდი ზიანი მიადგა ევროპის ეკონომიკურ სისტემას. მიუხედავად იმისა, რომ საბრძოლო მოქმედებები ევროპის დიდ ქალაქებს არ შეხებია, სარკინიგზო ხაზები მეტ-ნაკლებად ხელუხლებლად რჩებოდა, ხოლო პორტები კი აგრძელებდნენ ფუნქციონირებას (Macmillan, 2001: 19) ქვეყნებს შორის სავაჭრო არხები მნიშვნელოვნად იყო შემცირებული და მთავრობები რადიკალურ პროტექციონისტურ პოლიტიკას ანიჭებდნენ უპირატესობას. ომამდელი სტატუს-კვოს მისაღწევად საჭირო იყო იმ ახალი საერთო ეკონომიკური წესრიგის შექმნა, რომელიც ყველა ქვეყნისათვის მისაღები გახდებოდა. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების აღსადგენად კი უმთავრესად მშვიდობის დამყარება იყო აუცილებელი, რომლის შემდგომ შესაძლებელი გახდებოდა ქვეყნებს შორის საქონლის, კაპიტალის, შრომითი რესურსების მოძრაობის აღდგენა და ევროპის ყველა სახელმწიფოსათვის საერთო ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა.

პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული სახელმწიფოების მიერ მოწვეულ იქნა პარიზის სამშვიდობო კონფერენცია, რომელზეც დამარცხებულ ქვეყნებთან საზავო ხელშეკრულების პირობები განიხილებოდა. კონფერენციაზე განსახილველ საკითხებს შორის უმთავრეს პრობლემას დანგრეული ევროპული იმპერიების შედეგად ახლადწარმოქმნილი, დამოუკიდებელი სახელმწიფოების საზღვრების გარკვევა და პოლიტიკური გავლენების გადანაწილება წარმოადგენდა, ხოლო ეკონომიკური საკითხები კი მაღალი პრიორიტეტულობით არ სარგებლობდა.

ომის შემდგომი ევროპის ეკონომიკისთვის დამახასიათებელი იყო მაღალი ინფლაცია, დასაქმების დაბალი დონე, ინდუსტრიული წარმოების მკვეთრი დაქვეითება და გაზრდილი სახელმწიფო ვალები (Lopez, 2018: 4). საერთაშორისო ვაჭრობის გამოსაცოცხლებად საჭირო იყოახალი ერთიანი ეკონომიკური წესების დამკვიდრება და მისი მაკონტროლებელი შესაბამისი ინსტიტუტების ჩამოყალიბება. მიუხედავად იმისა, რომ ომის შემდგომ ევროპაში ფუნდამენტური ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები იყო მომხდარი, არსებული პრობლემების მოგვარებას წამყვანი ქვეყნის პოლიტიკოსები ისევ მოძველებული საერთაშორისო ინტიტუტებით ცდილობდნენ, მაგალითად როგორცაა ოქროს სტანდარტი,პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაციების (ერთა ლიგა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია) ეკონომიკური ფუნქციები კი უმეტესად ცუდად იყო განსაზღვრული ან საკმაოდ შეზღუდული იყო. 1920 წელს ბრიუსელში და 1922 წელს გენუაში გაიმართა საერთაშორისო კონფერენციები, რომელთა მთავარ მიზანს ევროპის რეკონსტრუქცია წარმოადგენდა. სამწუხაროდ, ვერც გენუაში და ვერც ბრიუსელში შეთავაზებულმა რეფორმებმა ვერ შეძლო საერთაშორისო ვაჭრობისათვის ხელისშემშლელი ფაქტორების თავიდან აცილება და ომამდელი სტატუს კვოს აღდგენა (Eichengreen, James, 2003: 521).

პირველ მსოფლიო ომამდე მიჩნეული იყო, რომ „ოქროს სტანდარტის“ სტაბილურობის შესანარჩუნებლად საუკეთესო გამოსავალი პასიურ, ჩაურევლობის პოლიტიკაში მდგომარეობდა, ხოლო მთავარი გამოწვევა საბაჟო ტარიფების თავიდან აცილებასა და ბაზარში ჩაურევლობას გულისხმობდა (Boughton, 2004: 4). იმ ეკონომიკური სიტუაციისათვის, რომელიც ომის შემდეგ ჩამოყალიბდა ასეთი პასიური დამოკიდებულება საკმარისი არ იყო. ზოგიერთმა ქვეყანამ შეინარჩუნა „ოქროს სტანდარტი“ , ზოგიერთმა - არა. ევროპული ქვეყნების მიერ აღებული გეზი არ იყო მიმართული ურთიერთთანამშრომლობისაკენ და საერთო ეკონომიკური პრობლემების ერთიანი ძალებით გადაწყვეტისაკენ. გამოკვეთილი ხელმძღვანელობის ან ინსტიტუციური მეთვალყურეობის გარეშე ამ პრობლემების გადაწყვეტა საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენდა. საჭირო იყო ისეთი საერთაშორისო ეკონომიკური შეთანხმებებისა და წესების შემოღება, რომელსაც ყველა ქვეყანა დაემორჩილებოდა.

ამის საპირისპიროდ, ომისგან განადგურებულმა ბევრმა ევროპულმა ქვეყანამ ინფლაცია და ეროვნული ვალუტის დევალვაცია კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით მიიჩნია დასაქმების მიღწევისა და პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნების მთავარ იარაღად (Eichengreen, James, 2003: 519).

პარიზის სამშვიდობო კონფერენცია და მის შედეგად მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განვითარებული მოვლენები მნიშვნელოვნად უკავშირდებაოცდახუთი წლის შემდეგბრეტონ ვუდსში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას. მიუხედავად იმისა, რომ ბრეტონ ვუდსის კონფერენციაზე მონაწილეობას მსოფლიოს ორმოცდაოთხი სახელმწიფო იღებდა, გადამწყვეტი როლი მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გაერთიანებულ სამეფოს ენიჭებოდა (Eichengreen, James, 2003: 527) და შესაბამისად მათი დელეგაციების მთავარი წარმომადგენლები ჯონ მეინარდ კეინზი და ჰარი დექსტერ უაითი შეგვიძლია მივიჩნიოთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მთავარ დამფუძნებლებად. ამ უკანასკნელთა მსოფლმხედველობა კი მეტწილად განსაზღვრა გასული საუკუნის პირველ ნახევარში მომხდარმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა პროცესებმა, რომელთა უშუალო მონაწილენიც თავად იყვნენ.

პარიზში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები პირველი თვეების განმავლობაში იქნა მიღებული. 1919 წელს პირველი 6 თვის განმავლობაში პარიზი მსოფლიოს დედაქალაქს წარმოადგენდა, პარიზის სამშვიდობო კონფერენცია - მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას, მშვიდობის დასამყარებლად შეკრებილი ადამიანები - მსოფლიოში ყველაზე გავლენიან პიროვნებებს (Macmillan, 2001: 19). პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ სახელმწიფოებთან დაიდო საზავო ხელშეკრულებები, განსაკუთრებით დასამახსოვრებელია გერმანიასთან დადებული საზავო ხელშეკრულება, რომელსაც 1919 წლის ივნისში მოეწერა ხელი ვერსალის სასახლეში. ამ ხელშეკრულების პირობებით გერმანია იყო სასტიკად და განზრახ დამცირებული, ტერიტორიულად და ეკონომიკურად განადგურებული. გერმანიის წარმომადგენლები კონფერენციაზე მხოლოდ მას შემდეგ მიიწვეს, როდესაც საზავო ხელშეკრულების პირობებზე

მოკავშირე ქვეყნებს შეთანხმება უკვე ჰქონდათ მიღწეული, შესაბამისად ამ ხელშეკრულების პირობების შემუშავებაში მათი აზრები საერთოდ არ იქნა გათვალისწინებული. გერმანელებისათვის განსაკუთრებით მიუღებელი იყო ომის პასუხისმგებლობის მთლიანად მათი ქვეყნისათვის დაკისრება და კომპენსაციის გადახდის არაადეკვატური პირობები. გერმანიისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ მომდევნო წლებში ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა გერმანიაში ნაციონალ-სოციალისტური პარტიის აღმავლობას და ქვეყნის სათავეში მოსვლას. მიუხედავად იმისა, რომ საზავო ხელშეკრულება მომდევნო წლებში არაერთხელ გერმანიის სასარგებლოდ გადაიხედა, ამან ხელი ვერ შეუშალა გერმანიის მილიტარიზაციასა და ნაციონალიზმის მზარდ პროცესს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი გახდა.

ჯონ მეინარდ კეინზმა საერთაშორისო საზოგადოების ფართო ყურადღება პირველად პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მიიქცია. კეინზი კონფერენციაზე გაემგზავრა 1919 წლის იანვარში, როგორც დიდი ბრიტანეთის ხაზინის მთავარი წარმომადგენელი. ის მონაწილეობას იღებდა ეკონომიკური საბჭოს სხდომებში და ასევე ბრიტანეთის პრემიერ მინისტრის, ლოიდ ჯორჯის მრჩეველიც გახლდათ, მაგრამ მნიშვნელოვან სამშვიდობო გადაწყვეტილებებზე მას არავითარი გავლენა არ გააჩნდა. კეინზი თვლიდა, რომ კონფერენცია არასამართლიანად მიმდინარეობდა. დამარცხებული ომის პასუხისმგებლობა მხოლოდ გერმანიას ეკისრებოდა და ტერიტორიულ დანაკარგთან ერთად მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების გაღებაც ევალებოდა ომის შედეგად დაზარალებული ევროპის მოსახლეობისა და კეთილდღეობის აღდგენისათვის, ხოლო მოკავშირე ქვეყნები კი არავითარ პასუხისმგებლობას არ იღებდნენ საკუთარ თავზე გერმანიის მოსახლეობისადმი მიყენებული ზარალისათვის. კეინზი ამტკიცებდა, რომ გამარჯვებული მოკავშირე ქვეყნების მოთხოვნები არ იყო ორიენტირებული გერმანიის მიერ ომის შედეგად მიყენებული ეკონომიკური ზარალის ანაზღაურებისაკენ, არამედ ის მიმართული იყო „მილიონობით ადამიანის სიცოცხლის დამცირებისაკენ და მთელი ნაციისათვის ბედნიერების წართმევისაკენ“ (Keynes, 1920 225). კეინზი მოკავშირე ქვეყნების ლიდერების მხრიდან გერმანიისა და მისი მოსახლეობისადმი ასეთ მიდგომას

კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. იგი მოკავშირე ქვეყნების ლიდერებს თავის გეგმას სთავაზობდა, რომლის მიხედვითაც გერმანიისათვის დაკისრებული საკომპენსაციო თანხის სიდიდე გერმანიის შესაძლებლობებს არ უნდა გასცდენოდა და საჭირო სესხების საშუალებით დახმარებოდა მას ეკონომიკის აღდგენაში. საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი გერმანიისგან კომპენსაციის გადახდას ითხოვდნენ თავიანთი გაზრდილი ვალების დასაფარად, რომელიც საფრანგეთს მართებდა დიდ ბრიტანეთთან, ხოლო ამ უკანასკნელს კი ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ამ გეგმის მიხედვით კი მოკავშირე ქვეყნებს შორის ვალები უნდა ჩამოწერილიყო. კეინზის აზრით, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს მაშინ გააჩნდათ ან შეეძლო მოემიათ საკმარისი ფინანსური რესურსები თავიანთი ეკონომიკების რეკონსტრუქციისათვის. თუ მისი რეკომენდაციები იქნებოდა გათვალისწინებული, იგი პირობას დებდა, რომ წარმოება და ვაჭრობა მთელი ევროპის მასშტაბით აღორძინდებოდა და შემდგომ მსოფლიო ხასიათს მიიღებდა. ამავე დროს, კეინზი აღიარებდა, რომ ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იყო „საზოგადოებრივი აზრის დიდი ცვლილება სანამ მოცემული წინადადებები რეგიონში პრაქტიკულ პოლიტიკად იქცეოდა“ (Keynes, 1920: 288). მისი გეგმა ლოიდ ჯორჯმა დაამტკიცა, მაგრამ ამერიკის პრეზიდენტმა, ვუდრო ვილსონმა, ჩააგდო, ემინოდა რომ კონგრესის მხარდაჭერას ვერ მოიპოვებდა. მოლაპარაკებების დროს კეინზი იმდენად იმედგაცრუებული დარჩა რომ 1919 წლის მაისში კონფერენცია პროტესტის ნიშნად დატოვა და მოკავშირე ქვეყნების ლიდერები დაადანაშაულა ევროპის დაღუპვაში.

თავის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაშრომში, „მშვიდობის ეკონომიკური შედეგები“ (Keynes, 1920), რომელიც პარიზის კონფერენციიდან რამდენიმე თვეში გამოქვეყნდა, კეინზი მკაცრად აკრიტიკებდა საზავო ხელშეკრულების პირობებს და თვლიდა, რომ გერმანია მნიშვნელოვნად დაჩაგრულ მდგომარეობაში რჩებოდა. ის წინასწარმეტყვნელებდა, გერმანიისათვის დაკისრებული დამანგრეველი პირობები გამოიწვევდა ქვეყნის ფინანსურ კოლაფსს, რაც თავის მხრივ, სერიოზულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ შედეგებს მოუტანდა ევროპასა და მთელ მსოფლიოს. მრავალი ისტორიკოსის შეფასებით, გამარჯვებული ქვეყნების მიერ გერმანიისთვის დაკისრებული საკონპენსაციო თანხის სიდიდემ გამოიწვია გერმანიის ეკონომიკის

ჩამომლა და ჰიტლერის აღზევება (Macmillan, 2001: 2). კეინზის მთავარ უკმაყოფილებას იწვევდა ის, რომ ხელშეკრულებაში „არავითარი პირობა არიყო ევროპის ეკონომიკური რეაბილიტაციისათვის“ (Keynes, 1920: 226) და, რომ პარიზში შეკრებილ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების წარმომადგენლებს კარგად არ ესმოდათ ომის შემდგომი ევროპის მშვიდობის შესანარჩუნებლად მყარი ეკონომიკური საფუძვლების საჭიროების შესახებ. კეინზი მკაცრად აკრიტიკებდა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებს, განსაკუთრებით კი ვუდრო ვილსონს, რომელიც იმ დროს მიჩნეული იყო ევროპული ლიბერალიზმისა და ამერიკული პროგრესული აზრის წარმომადგენლად. საქმე ისაა, რომ როდესაც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნის ლიდერები შეიკრიბნენ პარიზში 1918 წლის მიწურულს მათ გააჩნდათ გარკვეული გეგმა პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის აღსადგენად, ის გერმანიის მიმართ ლოიალურ პირობებს გულისხმობდა. ეს გეგმა ამერიკის მაშინდელი პრეზიდენტის, ვუდრო ვილსონის მიერ შემუშავებულ თოთხმეტ პუნქტს (Fourteen Points) ეფუძნებოდა და მას გერმანელები აქტიურად უჭერდნენ მხარს. მაგრამ პარიზში მოლაპარაკებების დაწყებიდან მცირე ხნის შემდეგ ცხადი გახდა, რომ გერმანიასთან დადებულ საზავო ხელშეკრულებაში ამ თოთხმეტი პუნქტიდან უმეტესობა გათვალისწინებული არ იქნებოდა. კეინზი თავის წიგნში ვუდრო ვილსონს მოიხსენიებს როგორც „ნელსა და არაადაპტირებადს“ (Keynes, 1919: 43), რომელსაც არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია ისეთ მწვავე მოაზროვნეებთან, როგორებიც ჟორჟ კლემანსო და ლოიდ ჯორჯი იყვნენ. კეინზი იმედგაცრუებული იყო ვილსონის პროგრესული იდეების საერთაშორისო ასპარეზზე ჩავარდნით, მისი აზრით, თოთხმეტპუნქტიანი გეგმა უბრალოდ გადაიქცა „საკუთარი თავის მოტყუების ინტელექტუალურ საშუალებად“ (Keynes, 1919: 50).

კეინზის 1919 წელს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მიღებულმა გამოცდილებამ მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. მის მიერ გამოცემულ წიგნში, „მშვიდობის ეკონომიკური შედეგები“, გამოთქმული აზრები და შემდგომ კეინზის საერთაშორისო მოქმედებები ერთმანეთს პირდაპირ უკავშირდება, განსაკუთრებით კი 1944 წელს ბრეტონ ვუდსში საერთაშორისო ეკონომიკური და მონეტარული წესრიგისათვის ახალი პოლიტიკური

და სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა, რომლის მიხედვითაც საფუძველი ჩაეყარა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (შემდგომში მსოფლიო ბანკი). დღევანდელი პერსპექტივიდან კეინზმა პარიზში მოახერხა მომდევნო წლებში ეკონომისტების როლის მნიშვნელოვნად გაზრდა საჯარო პოლიტიკის ჩართულობაში, ასევე მის შესახებ არა მხოლოდ ეკონომისტის, ასევე აქტიური საზოგადო მოღვაწისა და პოლიტიკური უნარ-ჩვევების მქონე პიროვნების სახის ჩამოყალიბება ფართო საზოგადოებასა და გავლენიანი წრეების წარმომადგენელთა თვალში. ზემოთ მოცემული მისი ამ წიგნის შემდგომი მზარდი პოპულარობის მიხედვით, კეინზის მთავარი მიზანი - ეკონომიკური იდეები ფართო საზოგადოების განხილვის საგნად ექცია და ეკონომიკური საკითხების პრიორიტეტულობა საჯარო პოლიტიკაში გაეზარდა, შეიძლება შესრულებულად ჩაითვალოს.

1.2 დიდი დეპრესია

მიუხედავად იმისა რომ, შესაძლებელია დიდი დეპრესია არ ყოფილიყო გადამწყვეტი მომენტი საერთაშორისო მონეტარული სისტემის ჩამოყალიბებისა, მან განსაკუთრებული როლი ითამაშა საერთაშორისო სავალუტო ფონდის თავდაპირველ დიზაინზე (Boughton, 2004: 5). დიდი დეპრესია მისი გლობალური ხასიათის მიზეზებითა და შედეგებით, ასევე მისი ხანგრძლივი პერიოდის მიხედვით, ობიექტურად მიჩნეულია მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მწვავე ეკონომიკურ კრიზისად. ალბათ, გასაკვირი არაა, რომ მისი გამომწვევი მიზეზი მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მხრიდან არაერთი შეცდომის წინაპირობა იყო. დიდი დეპრესია დაიწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში 1929 წლის ზაფხულში საფონდო ბირჟაზე კრიზისით, რასაც მოყვა აქტივებისა და სასაქონლო ფასების დეფლაცია, სამომხმარებლო მოთხოვნისა და ვაჭრობის მკვეთრი დაქვეითება, რაც საბოლოოდ მასობრივ უმუშევრობასა და სიდარბეში გადაიზარდა. დიდი დეპრესიის დამანგრეველი შედეგები განსაკუთრებული სიმძაფრით ამერიკელმა ხალხმა გადაიტანა. 1929 წლიდან 1933 წლამდე ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკამ ყველა მაჩვენებლის მიხედვით უდიდესი ზარალი მიიღო ამერიკის სამოქალაქო ომის

წლების (1861-1865) შემდეგ. კრიზისული პერიოდის განმავლობაში მთლიანი ეროვნული პროდუქტი შემცირდა 29 პროცენტით, სამომხმარებლო დანახარჯები 18 პროცენტით, ინვესტიციები 98 პროცენტით, ხოლო უმუშევრობა 3,2 პროცენტიდან გაიზარდა 24,9 პროცენტამდე (McElvaine, 1984: 167). ეკონომიკურ მდგომარეობასთან ერთად დიდმა დეპრესიამ მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა ამერიკელი ერის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაზე. მოცემული კრიზისის სახელწოდებაც ზუსტად ასახავს მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემებით დამძიმებული იმდროინდელი საზოგადოების განწყობებს.

1920-იანი წლები შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც პირველი მსოფლიო ომის წლებისა და 1930-იანი წლების ეკონომიკური კრიზისის დამაკავშირებელი ხიდი, მცირეხნიანი ზავი ევროპის მეორე ოცდაათწლიან ომში (Second Thirty Years' War). მოცემულ პერიოდში დაპირისპირებულმა სახელმწიფოებმა თავიანთი ბრძოლის ხერხები კარდინალურად შეცვალეს. საბრძოლო მოქმედებები და პირდაპირი დაპირისპირება ჩაანაცვლა ევროპული ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა რადიკალურმა პროტექციონიზმმა, ინფლაციის მეშვეობით საკუთარი პროდუქციის კონკუნტუნარიანობის ამაღლებამ, ქვეყნებს შორის ბილატერალურმა გარიგებებმა. პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საერთო ეკონომიკურ წესებზე შეუთახმებლობა და მისი მაკონტროლებელი ინსტიტუტების არარსებობა მოცემული ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი გახდა. დიდი დეპრესიის მიზეზების, საფუძვლებისა და შედეგების ობიექტურად გამოკვლევისათვის საჭიროა განვიხილოთ იქნას ის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდგომ სუფევდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის წამყვან სახელმწიფოებში. ნაკლებ ეჭვს იწვევს ის ვარაუდი, რომ მოცემული კრიზისის ღრმა ფესვები პირველ მსოფლიო ომთანაა დაკავშირებული, რომლის გამოც ქვეყნებს შორის კოორდინაციისა და ურთიერთშეთანხმებების ხარისხი მნიშვნელოვნად გაუარესდა. სამწუხაროდ, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მიღწეულმა სამშვიდობო ხელშეკრულებამ პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი მხოლოდ რამოდენიმე წლით გადაავადა და ვერ შეძლო დიდი ომის გაგრძელების თავიდან აცილება. სახელმწიფოთა შორის ძალთა ბალანსი,

ქვეყნებს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრება, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა - ეს ყველაფერი ომის შემდგომ ნანგრევებში იქნა მოქცეული. ომის დროინდელი სისხლიანი მოგონებები და მოკავშირე ქვეყნების მხრიდან მხრიდან გერმანიისადმი არასამართლიანი ხელშეკრულება საერთაშორისო ატმოსფეროს კიდევ უფრო ტოქსიკურს ხდიდა.

1920-იან წლებში მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განხორციელებული ცვლილებები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. მსოფლიოს ბევრმა სახელმწიფომ 1920-იან წლებში მნიშვნელოვან ეკონომიკურ წინსვლას მიაღწია, ტექნიკურმა პროგრესმა და განვითარებამ სოციალური და კულტურული ცხოვრების ახალ ეტაპზე აყვანას შეუწყო ხელი, განსაკუთრებული ტემპებით განვითარდა კინოინდუსტრია და სპორტული სფერო. ლიბერალური მსოფლმხედველობისა და ღირებულებების ფართო მასებში გავრცელებამ ხელოვნების დარგში ახალი შემოქმედებითი ბიძგები გააჩინა. 1920 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მიხედვით პირველად ქალებს უფლება მიეცათ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა.

ეკონომიკური და კულტურული სფეროსგან განსხვავებით პოლიტიკურ სცენაზე გამოჩენა დაიწყო ერთმანეთთან რადიკალურად დაპირისპირებული იდეოლოგიების მატარებელმა სუბიექტებმა, განსაკუთრებით კი იმ რეგიონებში, რომლებიც ერთ დროს იმპერიის ნაწილს შეადგენდა: 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციისა და რუსეთის სამოქალაქო ომში ბოლშევიკების გამარჯვების შედეგად კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელების სერიოზული საშიშროება გაჩნდა არა მხოლოდ რუსეთში, არამედ რუსეთის იმპერიის დანგრევის შედეგად ახლადწარმოქმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებსა და ევროპის ბევრ სხვა ქვეყანაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპაში. ამის საპირისპიროდ, იტალიასა და გერმანიაში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდნენ ულტრანაციონალისტები და ფაშისტური იდეოლოგიის წარმომადგენლები. ბენიტო მუსოლინი გახდა პირველი ფაშისტური პარტიის ლიდერი და შედეგად იტალიაში ტოტალიტარულ სისტემას ჩაეყარა საფუძველი, რომელმაც მალევე დაიწყო აგრესიული ექსპანსიონისტური პოლიტიკის გატარება ევროპის სხვა

სახელმწიფოებში. გერმანიაში კი 1920-იანი წლების დასაწყისში ჰიპერინფლაციურმა პროცესებმა ვაიმარის რესპუბლიკის ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია, რამაც ჰიტლერის და ნაცისტური პარტიის აღზევებას შეუწყო ხელი.

1920-იანი წლების ბოლო ხანებში ამერიკის შეერთებული შტატებში დაწყებულმა ელექტროფიკაციამ მნიშვნელოვნად გაზარდა ამ ქვეყნის პროდუქტიულობა. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, საავტომობილო და სატვირთო ტრანსპორტის განვითარებამ ფერმერული პროდუქციის მნიშვნელოვან წარმოებას შეუწყო ხელი, რის შედეგადაც 1929 წლისათვის ამერიკელი დასაქმებულების მეოთხედი სოფლის მეურნეობაში მუშაობდა და მათი შემოსავლებიც საკამოდ სოლიდური გახლდათ. მოცემული დეკადის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა საყოფაცხოვრებო ნივთების წარმოებაც. მნიშვნელოვანი მატება დაფიქსირდა ნომინალური და რეალური ხელფასის მხრივაც, თუმცა პროდუქტიულობის ტემპს მაინც საკმაოდ ჩამორჩნენ. აღსანიშნავია, რომ მსუბუქი ავტომობილების რაოდენობამ 1919 წლიდან 1929 წლამდე 7 მილიონიდან 23 მილიონამდე მოიმატა, ამერიკელი საშუალო დასაქმებულის ხელფასი 63 პროცენტით გაიზარდა, რადიოს გაყიდვათა რაოდენობა 1922 წლიდან 1929 წლამდე 1400 პროცენტით გაიზარდა (McElvaine, 1984: 86-87). ასეთი მატების ტემპი შეეხო ბევრ სხვა ყოველდღიური მოხმარების საგანის წარმოებასაც. გარკვეულწილად 1920-იანი წლების სოფლის მეურნეობის პრობლემებმა მნიშვნელოვნად აირეკლა მაშინდელი საერთაშორისო ვაჭრობის მთავარი გამოწვევები, რომელიც საერთო ეკონომიკური წესების არარსებობით იყო განპირობებული. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გამოცოცხლებული ევროპელი ფერმერებისა და მათი ამერიკელი კოლეგების მძაფრ კონკურენციას მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საგრძნობი ზრდა და ფასების შემცირება მოჰყვა. შედეგად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარზე გაჩნდა ჭარბწარმოება და არასაკმარისი მოთხოვნა. მაშინდელი ამერიკის პრეზიდენტის, ჰერბერტ ჰუვერის (Herbert Hoover) 1928 წლის საპრეზიდენტო კამპანიის მთავარ დაპირებას ტარიფების მემვეობით სოფლის მეურნეობის დაცვა წარმოადგენდა (Eichengreen, 2001: 12). 1929 წელს, როდესაც გლობალური ეკონომიკა დიდი დეპრესიის პირველ ფაზაში შევიდა, ამერიკის მთავრობის მიზანი ამერიკელი ფერმერების საგარეო კონკურენციისგან დაცვა და

სამუშაო ადგილების რაოდენობის შენარჩუნება იყო. იუტელი სენატორის, რიდ სმუთისა (Reed Smoot) და ორეგონელი უილის ჰოლეის (Willis Hawley) შემუშავებულ კანონპროექტს 1930 წლის 17 ივნისს ამერიკის კონგრესმა მხარი დაუჭირა და შესაბამისად მას მისი ავტორების, სმუთ-ჰოლეის ტარიფი (Smoot-Hawley Tariff) ეწოდა, რომლის მიხედვითაც ათასობით დასახელების იმპორტირებულ პროდუქციაზე გაიზარდა საბაჟო გადასახადები ამერიკელი ფერმერებისა და ბიზნესმენების დახმარების მიზნით. ამ აქტის მიხედვით იმპორტის გადასახადი ამერიკის ეკონომიკურ ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ნიშნულს მიუახლოვდა.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი დეპრესიის გამომწვევ მთავარ მიზეზებზე შეთანხმება დღესაც არაა მიღწეული, არსებობს კონსენსუსი, რომ სმუთ-ჰოლეის ტარიფმა მნიშვნელოვნად გაამწვავა დიდი დეპრესია (Whaples, 1995: 151). უმოკლეს დროში ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსად რადიკალური პროტექციონისტური პოლიტიკის გატარება ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმაც დაიწყეს და შედეგად ორ წელიწადში ამერიკის იმპორტი ევროპაში 1929 წლიდან 1932 წლამდე ორი მესამედით შემცირდა. სმუთ-ჰოლეის ტარიფს ხშირად ადანაშაულებენ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების მოწამვლასა და მთელი მსოფლიოს მასშტაბით ტარიფების ზრდის ტალღის დაწყებაში, რამაც მსოფლიო კომერცია სპირალის დაბალ საფეხურზე დაიყვანა (Irwin, 1996: 1).

დღევანდელი მეინსტრიმული შეხედულებები დიდი დეპრესიის მიმართ ორი ძირითადი თვალსაზრისით კლასიფიცირდება. პირველი შეხედულების მიხედვით, რომელსაც კეინზიანელები და ინსტიტუციური ეკონომიკის მიმდევრები ემხრობიან, დიდი დეპრესიის მთავარი გამომწვევი მიზეზი სამომხმარებლო მოთხოვნის შემცირებასა და ინვესტიციების ვარდნაში უნდა ვეძებოთ. ამ თეორიის თანახმად, მას შემდეგ რა ბაზარზე გაჩნდა პანიკა და დეფლაციური პროცესები დაიწყო, ადამიანებს მიაჩნდათ, რომ ფულის დაზოგვით შეძლებდნენ დანაკარგების შემცირებას. შედეგად, სასაქონლო ფასებმა მნიშვნელოვანი ვარდნა განიცადა და ბაზარზე არასაკმარისი მოთხოვნა მკვეთრად გაიზარდა. კეინზი თავის ნაშრომში „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ (Keynes, 1936), ცდილობდა აეხსნა ის ძირითადი

კონცეფციები, რის გამოც თვითრეგულირებადი საბაზრო მექანიზმები ეფექტიანად არ მუშაობს.

მონეტარისტების მთავარი წარმომადგენლების, მილტონ ფრიდმანისა და ანა შვარცის ნაშრომი „ამერიკის შეერთებული შტატების მონეტარული ისტორია 1867-1960 წლებში“ (Friedman,Shwartz, 1963) დიდი დეპრესიის მთავარ მიზეზებს განსხვავებული კუთხით წარმოგვიჩენს. მონეტარისტების აზრით, დიდ დეპრესიას თავდაპირველად მხოლოდ ჩვეულებრივი რეცესიის სახე გააჩნდა და მისი გამწვავება მეტწილად გამოწვეული იყო არასწორი მონეტარული პოლიტიკის შედეგად, განსაკუთრებით ფედერალური სარეზერვო სისტემის მხრიდან, რომლის გამოც ფულზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად შემცირდა. მონეტარისტების ერთ-ერთი მთავარი არგუმენტის მიხედვით რეცესიის განმავლობაში თუ მოხმარება დანაზოგების ზრდის შედეგად შემცირდებოდა ეს ამავე დროს საპროცენტო განაკვეთების შემცირებასაც გამოიწვევდა, ხოლო კლასიკური ეკონომიკის თანახმად, დაბალი საპროცენტო განაკვეთები საინვესტიციო ხარჯებს ზრდის და სამომხმარებლო მოთხოვნა მუდმივ მდგომარეობაშია. ამის საპირისპიროდ, კეინზი ამტკიცებდა, რომ საპროცენტო განაკვეთის შემცირება ყველა შემთხვევაში ინვესტიციების ზრდას არ გამოიწვევდა. ბიზნესმენები ინვესტიციებს ახორციელებენ მოსალოდნელი მოგების მიხედვით. აქედან გამომდინარე, თუ მოხმარების შემცირებას გრძელვადიანი სახე გააჩნია, ბიზნესმენები აანალიზებენ, რომ გაყიდვების მოცულობა გრძელვადიან პერიოდში დაბალ დონეზე იქნება და იაფი კაპიტალის პირობებშიც კი მოერიდებიან ინვესტიციების განხორციელებას. კეინზი ასაბუთებდა, რომ თუ მთავრობა უფრო მეტ თანხას დახარჯავდა ეკონომიკის დასახმარებლად, მაშინ ბიზნესმენებაცა და მომხარებლებიც ანალოგიურად მოიქცეოდნენ და უმუშევრობის დონე შემცირდებოდა. კეინზის აზრით, გამოსავალი იყო ფედერალურ სარეზერვო სისტემას შეექმნა ახალი ფული სამთავრობო სესხისათვის და მისი შემდგომი დახარჯისათვის და შეემცირებინა გადასახადები მისი გაზრდის ნაცვლად სამომხმარებლო ხარჯების გაზრდის მიზნით (Caldwell, Driscoll,2007: 71). ჰერბერტ ჰუვერმა ამის საპირისპირო პოლიტიკის გატარება არჩია: ფედერალურ მთავრობას ნება დართო გადასახადების აწევისა იმისათვის რომ დიდი დეპრესიის მიერ წარმოქმნილი ბიუჯეტის დეფიციტი შეემცირებინა.

საერთაშორისო ეკონომიკური წესების არარსებობამ და ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგობრივმა საგარეო ეკონომიკურმა პოლიტიკამ უდაოდ განსაკუთრებული როლი შეასრულა დიდი დეპრესიის მოხდენაში. მიუხედავად ამისა, დიდი დეპრესიის გამომწვევი მთავარი მიზეზის შესახებ ეკონომისტებსა და ისტორიკოსებს შორის საერთო აზრი არ არსებობს. ბევრი ეკონომისტი მიიჩნევს, რომ ომის შემდეგ მომხდარი დიდი დეპრესია გამოწვეული იყო სახელმწიფოების მხრიდან ოქროს სტანდარტისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულებით. ამ მოსაზრების მიხედვით, დიდი დეპრესია მეტწილად გამოიწვია პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკისა და ევროპის ქვეყნების ოქროს სტანდარტზე დაბრუნებამ ომამდელი ფასების მიხედვით. ოქროს სტანდარტის ფიქსირებულმა გაცვლითი კურსის რეჟიმმა მთელ რიგ ქვეყნებში ფინანსური დარღვევები გამოიწვია და შეუზღუდა მთავრობებს მონეტარული პოლიტიკის გამოყენება ეკონომიკური კრიზისის დროს. ეს დასკვნა გამომდინარეობდა ორი მნიშვნელოვანი დაკვირვებიდან: ქვეყნებმა, რომლებმაც უარი თქვეს ოქროს სტანდარტის გამოყენებაზე, თითქმის მთლიანად აიცილეს თავიდან დიდი დეპრესიით გამოწვეული უარყოფითი შედეგები, ხოლო მათ, ვინც შეინარჩუნა ოქროს სტანდარტი, ამ უკანასკნელის დატოვებამდე ვერ მოახერხა ეკონომიკური წონასწორობის აღდგენა (Irwin, 2010: 1).

პიტერ ტემინი, ბენ ბერნანკე და ბერი ეიხენგრინი ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებებზე, რომლის ქვეშაც იმყოფებოდნენ პოლიტიკის გამტარებლები დიდი დეპრესიის დროს (Eichengreen 1992: xi). ამ თვალსაზრისით, ომის შემდგომმა ოქროს სტანდარტმა გააძლიერა თავდაპირველი ეკონომიკური შოკი და მნიშვნელოვანი დაბრკოლებები შეუქმნა დიდი დეპრესიის განმავლობაში ისეთ მოქმედებებს, რომლებიც გააუმჯობესებდა სიტუაციას. მათი თქმით, შესაძლოა თავდაპირველი მადესტაბილიზებული შოკი ამერიკის შეერთებულ შტატებში 1929 წელს უოლ სტრიტზე წარმოიშვა, მაგრამ ოქროს სტანდარტის გამო ის დანარჩენ მსოფლიოში გავრცელდა.

ჯონ მეინარდ კეინზი თავის ნაშრომში „ტრაქტატი ფულის რეფორმის შესახებ“ (Keynes, 1923) რა თქმა უნდა ეწინააღმდეგებოდა ოქროს სტანდარტის ომამდელი

პარიტეტის დაბრუნებას ფასების მკვეთრი ცვლილების გამო. კეინზი კიდევ უფრო შორს წავიდა და ამტკიცებდა, რომ საჭირო იყო ფუნტი სტერლინგი ქცეულიყო ნომინალურ ვალუტად და ოქროს ვალუტად გამოყენება საერთოდ შეწყვეტილიყო. ოქროსადმი მაშინდელ მიდგომას უწოდებდა „პრიმიტიულ გატაცებას მყარი მეტალისკენ“ ხოლო ოქროს სტანდარტს კი „ბარბაროსულ გადმონაშთს“ (Keynes, 1923: 172).

ვერსალის საზავო ხელშეკრულებამ და დიდმა დეპრესიამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა 1944 წელს ბრეტონ-ვუდსში საერთაშორისო სავალუტო ფონდის ჩამოყალიბებაზე (Boughton, 2004: 7). საერთაშორისო სავალუტო ფონდის შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ ამ პერიოდში დაშვებული შეცდომების თავიდან აცილება იყო. შეთანხმების მუხლები (Articles of Agreement), რომლებიც საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წესდებათა როლს ასრულებენ ნათლად გამოხატავენ ამ მიზანს. კონკრეტულად, მეოთხე მუხლში, რომელიც ეხება გაცვლით კურსებთან დადებულ შეთანხმებას, ვკითხულობთ: „ყოველი წევრი ვალდებულია თავიდან აიცილოს სავალუტო კურსებით მანიპულაცია და მოიპოვოს უსამართლო კონკუნრეციით უპირატესობა სხვა წევრებზე“ (IMF, 2016: 6).

1.3 მეორე მსოფლიო ომი

მესამე გადამწყვეტი ისტორიული მოვლენა საერთაშორისო სავალუტო ფონდის შექმნასთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომია, როგორც მნიშვნელოვანი იმპულსი და კონტექსტი საერთაშორისო სისტემის რეფორმირებისა (Boughton, 2004: 7). პირველ მსოფლიო ომში გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, ბულგარეთის და ოტომანების იმპერიის დამარცხებამ და შემდეგ საბჭოთა კავშირის ჩამოყალიბებამ რადიკალურად შეცვალა ევროპის პოლიტიკური რუკა. იმავდროულად, გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა, საფრანგეთმა, ბელგიამ და საბერძნეთმა შეძლეს ახალი ტერიტორიების შემოერთება. მომავალი ომისგან თავის ასარიდებლად პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე 1919 წელს შეიქმნა ერთა ლიგა. ორგანიზაციის პირველადი მიზანი შეიარაღებული კონფლიქტის თავიდან აცილება იყო

კოლექტიური უსაფრთხოების, საზღვაო და სამხედრო განიარაღებისა და საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მოლაპარაკებების არბიტრაჟის მეშვეობით.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დროებითი მშვიდობა დამყარდა ამან ხელი ვერ შეუშალა რევანშისტული ნაციონალისტების გამოჩენას ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი გერმანიაში, რომელმაც ვერსალის საზავო ხელშეკრულებით მნიშვნელოვანი ტერიტორიული და ეკონომიკური ზიანი მიიღო. ხელშეკრულების თანახმად, გერმანიამ დაკარგა მთელი ტერიტორიის 13 პროცენტი და საზღვარგარეთ არსებული ქონება, დაეკისრა გერმანელთა შეფასებით არადააკვევადური კომპენსაციის გადახდა გამარჯვებული ქვეყნებისთვის და შეეზღუდა შეიარაღებული ძალების გარკვეულ ოდენობამდე ყოლა. შედეგად გერმანიის სათავეში მოვიდა ადოლფ ჰიტლერი, რომლის რევანშისტულმა იდეებმა მსოფლიო მეორე ომამდე მიიყვანა, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე გამანადგურებელი აღმოჩნდა.

მეორე მსოფლიო ომის პირველი ორი წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატები ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ატარებდა. 1941 წლის დეკემბერში იაპონელების მიერ პერლ ჰარბორის დაბომბვის საპასუხოდა ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული გახდა ომში ღიად ჩართულიყო. ამით ამერიკის იზოლაციონალისტური პოლიტიკა საბოლოოდ დამთავრდა და მას შემდეგამერიკა მსოფლიოს წამყვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ლიდერად მოგვევლინა.

მსოფლიოში მშვიდობის აღსადგენად საჭირო იყო ქვეყნებს შორის მყარი ეკონომიკური საფუძვლების არსებობა. ამერიკის მაშინდელმა ხაზინის მდივანმა (ფინანსთა მინისტრმა) ჰენრი მორგენტაუმ, ჰარი დექსტერ უაიტს პასუხისმგებლობა დააკისრა საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის ახალი სისტემის ჩამოყალიბებისათვის შეემუშავებინა სპეციალური გეგმა როგორც კი ომი მორჩებოდა (Boughton, 2004: 7).

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, 1944 წლის ივლისში, ბრეტონ ვუდსში (შტატი ნიუ-ჰემპშირი, აშშ) თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკისათვის ახალი ეტაპი დაიწყო. ორმოცდაოთხი მოკავშირე ქვეყნის

დელეგატები შეიკრიბნენ გაეროს ეგიდით გამართულ საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო კონფერენციაზე ისეთი ინსტიტუტების შესაქმნელად, რომლებიც შეძლებდა მრავალმხრივი თანამშრომლობის წახალისებას, ფინანსური სტაბილურობის მიღწევასა და ომის შემდგომი საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის რეკონსტრუქციას. მოცემული შეთანხმება წარმოადგენდა უპრეცედენტო ექსპერიმენტს საერთაშორისო წესების დამკვიდრებასა და ინსტიტუციურ მშენებლობაში ომის შემდგომი მონეტარული და ფინანსური პრობლემების გადასაჭრელად (Ikenberry, 1993: 155). დელეგატები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ბრეტონ ვუდსის კონფერენცია ეკონომიკურთან ერთად პოლიტიკურ პრობლემებსაც გადაწყვეტდა და მსოფლიოში ომების თავიდან არიდება უფრო მარტივი გახდებოდა. ჯონ მეინარდ კეინზისაზრით, მათ საერთო ძალისხმევას შეეძლო ისეთი სამყაროს შექმნა, სადაც „ხალხთა შორის ძმობა უფრო მეტია ვიდრე ფრაზა“ გახდებოდა ჭეშმარიტება თუ ფონდი დარჩებოდა მისი თავდაპირველი პრინციპების ერთგული (Dymond, 2015: 39).

მეორე მსოფლიო ომის დროინდელმა ეკონომისტებმა ნათლად გაანალიზეს, რომ თავისუფალი ვაჭრობა იყო ნამდვილი საჩუქარი ინდივიდუალური ეკონომიკური სპეციალიზაციისა და გლობალურ მწარმოებლებს შორის თანამშრომლობისა (Tamny, 2013). ნოვატორული შეთანხმებების მიღწევა საერთაშორისო დონეზე დიდ ძალისხმევას საჭიროებს. მართლაც, თავსატეხი მთელი რიგი შეთანხმებების, წესებისა და ინსტიტუციების შესახებ ყველა მხარისთვის ერთნაირად მისაღები არ იყო. უაითი ხუთთვიანი მაღალი დონის შეხვედრების განმავლობაში ცდილობდა დაერწმუნებინა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები შეთავაზებულ საერთაშორისო ინსტიტუტის წევრობის უპირატესობებში. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა მთავარი წინააღმდეგობა იდეოლოგიურ შეუთავსებლობაში მდგომარეობდა. მიუხედავად ამისა, მათ ხელი მოაწერეს „შეთანხმების მუხლებს“ ბრეტონ ვუდსში 1945 წელს.

სტალინმა გადაწვიტა თავი აერიდებინა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრობისგან, ეშინოდა, ფონდი უმეტესწილად ამერიკის შეერთებულ შტატების მიერ იქნებოდა გაკონტროლებული. საწყისი მოლაპარაკებების დროს ომის შემდგომი ვაჭრობისა და მონეტარული ურთიერთობების შესახებ განსაკუთრებით

ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული შეხედულებები გააჩნდათ უშუალოდ ფონდის მთავარ დამფუძნებლებს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებს, ჰარი დექსტერ უაითსა და ჯონ მეინარდ კეინზს. 1941 წლის ლენდ-ლიზის მოლაპარაკებების დროს ეს ნათლად გამოჩნდა, როდესაც კეინზმა ვაშინგტონი დატოვა შეთანხმების გარეშე. საბოლოოდ ბრეტონ ვუდსში მიღწეული შეთანხმება ხშირად განიხილება ამ ორი ეკონომისტის იდეების შეჯერების შედეგი. ჯონ მეინარდ კეინზს, რომელიც დიდი ბრიტანეთის ხაზინის მრჩეველი გახლდათ, იმ დროისათვის საერთაშორისო ასპარეზზე ფართო გავლენა გააჩნდა. იგი რამოდენიმე წლის განმავლობაში ამუშავებდა თავის გეგმას საერთაშორისო სავალუტო კავშირის (International Currency Union) შესაქმნელად, რომელიც იქნებოდა გლობალური ცენტრალური ბანკის ანალოგი და შესაძლებლობა მიეცემოდა ახალი ფულის შექმნისა და შემდგომ ვალის მქონე ქვეყნებისათვის სესხის მიცემისა (Boughton, 2013). კეინზის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ასიმეტრიული რეგულირების გაუქმება სავაჭრო დეფიციტისა და პროფიციტის მქონე ქვეყნებს შორის რომლებიც გააჩნდათ ტენდენცია გლობალური ერთიანი მოთხოვნის უკმარისობისაკენ და იმ პოლიტიკების შეზღუდვისაკენ, რომელთა მეშვეობითაც სრული დასაქმება მიიღწევა (Stiglitz, 2000: 171). კეინზი ამასთან ერთად შიშობდა, რომ მნიშვნელოვანი საგადასახადელო დისბალანსები ომის შემდეგ თავს იჩენდა და საჭირო გახდებოდა ლიკვიდურობის მიწოდების უკეთესი საშუალება, როგორც გლობალურად, ასევე იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც ომის შემდგომ სტრუქტურული საგადასახადელო დეფიციტები ექნებოდათ. ბრეტონ-ვუდსის სისტემით პირველი პრობლემის გადაჭრა საერთოდ ვერ მოხერხდა, ხოლო მეორე კი ნაწილობრივ გადაიჭრა. მეორე მხრივ, მზარდი ძალაუფლების მქონე ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს, ჰარი დექსტერ უაითი წარმოადგენდა, რომელიც ამერიკის ხაზინის დეპარტამენტში მუშაობდა. მიუხედავად იმისა, რომ უაითს ვაშინგტონის ფარგლებს გარეთ თითქმის არანაირი ცნობადობა არ გააჩნდა, იგი იყო ჰარვარდის უნივერსიტეტის მიერ მომზადებული ბრწყინვალე ეკონომისტი, რომელიც ამერიკის ხაზინის მდივნის, ჰენრი მორგენტაუს, სრული ნდობით სარგებლობდა და საბოლოოდ ამერიკის მაშინდელი პრეზიდენტის, ფრანკლინ დელანო რუზველტის საიმედო მრჩეველიც გახდა. სამი წლის

განმავლობაში უაითი მუშაობდა გაცვლითი სტაბილიზაციის ფონდის (Exchange Stabilization Fund) გეგმის შემუშავებაზე. ამ ფონდის მთავარი მიზანი იყო დაერწმუნებინა ქვეყნები თავიანთი ვალუტები მიებათ ამერიკის დოლარზე და შემდეგ ეს მიზნული დოლარის ღირებულება დაეფიქსირებინათ ოქროს ფასის მიმართ (Bordo, Shwartz, 2001: 2). უაითის ფონდი დებიტორ ქვეყნებს დოლარს და სხვა პოტენციურ კონვერტირებად ვალუტებს სესხის სახით აძლევდა, მაგრამ იმაზე მკაცრი პირობებით ვიდრე კეინზს ჰქონდა ჩაფიქრებული. მათი საერთო აზრები საერთაშორისო ინსტიტუტთან და მის ფუნქციებთან დაკავშირებით საბოლოოდ შეჯერდა ბრეტონ ვუდსის კონფერენციაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაარსებით.

მართალია, რომ კეინზი და უაითი იყვნენ მთავარი განმსაზღვრელი ფიგურები ახალი მონეტარული გეგმებისა, მაგრამ ამავე დროს ისინი წარმოადგენდნენ თავიანთი ქვეყნების ეკონომისტებისა და პოლიტიკის გამტარებლების ფართო სპექტრს. ეს ხალხი მუშაობდა ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის სამთავრობო უწყებებში, სახაზინო დეპარტამენტებსა და უნივერსიტეტებში, შესაბამისად კეინზი და უაითი გამოხატავდნენ არა მხოლოდ თავიანთ, არამედ ფართო საზოგადოებების შეხედულებებსა და ინტერესებს, რომელთა პრაქტიკაში შეჯერება საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ კეინზსა და უაითს შორის მოლაპარაკებები ხანდახან დამაბული და თავშეუკავებელი იყო, უმეტეს შემთხვევებში მეორე მსოფლიო ომის დროს გამართული მოლაპარაკებები მაღალი დონის კოლეგიალურ ხასიათს ატარებდა. ბრეტონ ვუდსში ამერიკელების მთავარ სურვილს საერთაშორისო თავისუფალი საბაზრო სისტემის რეკონსტრუქცია წარმოადგენდა, ხოლო ბრიტანელებისას კი ეკონომიკური სტაბილურობისა და სრული დასაქმების მიღწევა თავიანთი შემდგომი იმპერიული უპირატესობებისა (Imperial Preferences) და ბილატერალური გარიგებების გაგრძელების მიზნით. პირველის ხედვა ეფუძნებოდა არადისკრიმინაციულ, მრავალმხრივ სავაჭრო სისტემას, მეორე კი მართალია ნათლად არ იყო გამოხატული, მაგრამ ბრიტანელი ეკონომიკური ჯგუფების ინტერესებს წარმოადგენდა (Ikenberry, 1993: 156). შეთანხმების მიღწევის მთავარი მიზეზი იყო იმ შეხედულებების თანხვედრა, რომელიც გააჩნდათ ლიბერალურად მოაზროვნე ეკონომისტებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში. პირველი

მსოფლიო ომისა და მეორე მსოფლიო ომს შორის მომხდარი ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების მონაწილეობამ ამ ეკონომისტებს ჩამოუყალიბა მსოფლმხედველობა, რომლის ამოსავალი წერტილი ქვეყნებს შორის თავისუფალ სავაჭრო ურთიერთობებს დაეფუძნებოდა და სადამსჯელო ტარიფები, ეროვნული ვალუტის დევალვაცია და ხელოვნური ბარიერები წარსულში იქნებოდა დარჩენილი. შესაბამისად, ანგლო-საქსური შეთანხმება სამ ფუნდამენტურ შეხედულებას ეფუძნებოდა. პირველ რიგში, არსებობდა საერთო რწმენა სავალუტო კურსების სტაბილურობისა და თავისუფალი გაცვლის შესახებ. სავალუტო კურსების თავისუფალი გაცვლა შესაძლებელი იქნებოდა გაცვლითი კურსების რეგულირებისა და შეზღუდვების გაუქმებით, ხოლო კორექტირების საჭიროების შემთხვევაში იგი უნდა დაქვემდებარებულიყო საერთაშორისო შეთანხმებას. ამერიკელი და ბრიტანელი ექსპერტების მეორე საერთო შეხედულების მიხედვით საერთაშორისო რეზერვების გარკვეული ფორმები ხელმისწავდომი უნდა ყოფილიყო მოკლევადიან პერიოდში საგადასახდლო ბალანსის დეფიციტის პრობლემის გადასაჭრელად. შეთანხმების მიღწევა გაჭირდა იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად გულუხვი უნდა ყოფილიყო ფონდი საგადასახდლო ბალანსის დეფიციტის მქონე ქვეყნების მიმართ, მაგრამ შეთანხმდნენ, რომ ფონდის წევრი ქვეყნების მთავრობებს საჭიროების შემთხვევაში გამოეყენებინათ ფონდის სახსრები კაპიტალისა და სავაჭრო დისბალანსის პრობლემის გადასაჭრელად. ანგლო-ამერიკელი სპეციალისტების (რომელთა უმეტესობაც კეინზის საქმიანობით იყო შთაგონებული) მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი შეთანხმება შედგა საერთაშორისო ეკონომიკური მენეჯმენტის ახალ მეთოდებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობითა და ახალი საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკით ხელი უნდა შეეწყობოდა სტაბილური და სრული დასაქმების ეკონომიკური პოლიტიკებისათვის. ამისთვის კი საჭირო იყო საერთაშორისო მენეჯმენტის ახალი დონე, რომელიც ფონდის წევრი ქვეყნების მონეტარულ და სავაჭრო პოლიტიკას ზედამხედველობას გაუწევდა.

მეორე მსოფლიო ომამდე და ომის შემდეგაც ასეთი მასშტაბური და ისტორიული შეთანხმების მიღწევა, რომელმაც მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრება ახალ ეტაპზე აიყვანა ურთულეს საქმეს წარმოადგენდა. ორი აზრი არაა, რომ ყველა

ქვეყანას საკუთარი ეროვნული ინტერესები ამოძრავებდა, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს. საბოლოოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსური სტრუქტურა დაეფუძნა ამერიკის დოლარს და არა ახალ საერთაშორისო ვალუტას, მისი შესაძლებლობებიც შორს იყო საერთაშორისო ცენტრალური ბანკის შესაძლებლობებისგანაც და მისი შტაბ-ბინაც იყო არა ლონდონსა თუ ნიუ-იორკში, არამედ ვაშინგტონში (Boughton, 2004: 7).

თავი 2. საერთაშორისო სავალუტო ფონდი 2008 წლის ეკონომიკურ კრიზისამდე

2.1 ბრეტონ-ვუდსის სისტემის დასასრული

საერთაშორისო ფინანსური სისტემის რეფორმით დაინტერესებული მკვლევრები და პოლიტიკოსები ყოველთვის გაიხსენებენ ბრეტონ ვუდსის სისტემას, მაგალითს ადამიანის მიერ შექმნილი სისტემისა, რომელმაც 1950-იან და 1960-იან წლებში მსოფლიოს ეკონომიკური სტაბილურობა მოუტანა (Bordo, 2017). ბრეტონ ვუდსის შეთანხმების მიხედვით, ყველა ქვეყნის ვალუტა კონვერტირებადი უნდა ყოფილიყო მხოლოდ აშშ დოლართან მიმართებაში, ხოლო მთავრობები კი თავიანთი ვალუტების გაცვლით კურსს დოლართან მიმართებაში ოქროს სტანდარტით დაადგენდნენ. რობერტ ტრიფინის აზრით, ბრეტონ-ვუდსის სისტემის მთავარ პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ნაციონალური ვალუტა (აშშ დოლარი) წარმოადგენდა საერთაშორისო სარეზერვო ვალუტას (Stiglitz, 2010: 157). ევროპისა და იაპონიის ეკონომიკების განვითარების შემდეგ დოლარი აღარ წარმოადგენდა ერთადერთ ძლიერ ვალუტას და 1959 წელს მათი რეზერვები ამერიკისას მიუახლოვდა. ამ ქვეყნებს ბუნებრივი შესაძლებლობა და სურვილი გააჩნდათ დოლარის კონვერტაცია მოეხდინათ ოქროსთან, ნაცვლად დოლარის შენახვისა. დროთა განმავლობაში განვლილი პროცესების შედეგად, ამ ქვეყნებში გაჩნდა სურვილი, რომ მათთან აღარ აკუმულირებულიყო აშშ დოლარი და დაიწყეს მისგან გათავისუფლება (ჟვანია, 2006: 20). ბრეტონ-ვუდსის ფიქსირებული გაცვლითი სისტემის კონტექსტში 1969 წელს შეიქმნა „სპეციალური სასესხო უფლებები“ (SDR), როგორც დამატებითი საერთაშორისო სარეზერვო აქტივი. მიუხედავად ბრეტონ-ვუდსის სისტემის ჩამოშლისა, „სპეციალური სასესხო უფლებების“ სისტემა საკმაოდ წარმატებული გამოდგა, რომელმაც უზრუნველყო გლობალური ფინანსური სისტემის ლიკვიდურობის შენარჩუნება. ამ სისტემის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა მდგომარეობდა დახმარებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდს კრიზისების დროს უფრო აქტიური როლის მიღწევაში (Stiglitz, 2010: 169). ბრეტონ ვუდსის შეთანხმების დე ფაქტო დამთავრების თარიღად ითვლება 1971 წელი, როდესაც ამერიკის შეერთებული

შტატების პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა ცალმხრივად დატოვა შეთანხმება, რათა თავიდან აეცილებინა ის სტრუქტურული ხარვეზები, რომლებიც ამერიკის ეკონომიკას კოლაფსამდე მიიყვანდა. ხოლო დე იურე თარიღად მიჩნეულია 1976 წლის იამაიკის კონფერენცია, სადაც საბოლოოდ მოხდა მცურავი სავალუტო კურსების ლეგალიზაცია. სწორედ ამ დროიდან იწყება ფინანსური ბაზრების დერეგულაცია. მცურავი სავალუტო კურსის რეჟიმმა ევროპის ცენტრალურ ბანკებს შესაძლებლობა მისცა უცხოური ვალუტით ვაჭრობა გადაეციათ მოგების საშუალებად. 1960-იან და 1970-იან წლებში ფინანსური ბაზრის ინოვაცია და დერეგულაცია სხვადასხვა მოვლენებმა დააჩქარა, მაგალითად, როგორც კომერციული ბანკების საერთაშორისო გაფართოება, ოფშორული საბანკო ცენტრების წარმოშობა, ტექნოლოგიური პროგრესი მონაცემთა დამუშავების პროცესსა და ინფორმაციის გავრცელებაში (Versluysen, 1988: 9). ამავდროულად ტექნოლოგიური ინოვაციების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა საერთაშორისო ფინანსური ტრანზაქციების განხორციელების ხარჯები და გაიზარდა მისი სისწრაფე. მსოფლიო სავალუტო სისტემამ მოკლე დროში სამჯერადი რევოლუცია განიცადა: დერეგულაცია, ინტერნაციონალიზაცია და ინოვაცია (Turner, 1991). ამ პროცესების დაწყებიდან საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა და ფინანსური ბაზრების დერეგულაცია პროპორციულად იზრდებოდა, რაც ქვეყნებს შორის კაპიტალის მოძრაობის ზრდის მთავარ განმაპირობებელ ფაქტორებს წარმოადგენდა. ლონდონის ევროდოლარის ბაზარზე (The London Eurodollar Market), რომელიც დღესდღეობით წამყვან ბაზარს წარმოადგენს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა, 1979 წლისათვის წლიური ბრუნვა შეადგენდა 59 მილიარდ დოლარს, მაგრამ 1980-იანი წლების შუა პერიოდისთვის მისი საშუალო ყოველდღიური ფინანსური ოპერაციების ღირებულება 300 მილიარდ დოლარს აჭარბებდა. ეს მოცულობა 25-ჯერ აღემატებოდა მსოფლიო საქონლისა და მომსახურების იმდროინდელ ვაჭრობას. მნიშვნელოვნად გაზრდილი იყო გლობალური სავალუტო ვაჭრობაც, რომლის რაოდენობა 1980 წლიდან 1985 წლამდე 12-ჯერ გაიზარდა და დღეში საშუალოდ 150 მილიარდ დოლარს მიაღწია (Allen, 2016: 2). 1980-იან და 1990-იან წლებში ასეთი ზრდის ტემპი შეეხო თითქმის ყველა საერთაშორისო ფინანსურ აქტივს. ქვეყნებს შორის კაპიტალის მოძრაობის ზრდა პირდაპირ იყო დაკავშირებული

ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაციასთან და ტექნოლოგიური პროგრესის განვითარებასთან. 1980-იანი წლების ბოლოსათვის სატელეკომუნიკაციო მომსახურების სფერო გახდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მთელს მსოფლიოში ახალი სამუშაო ადგილების მთავარი შემქმნელი. ბუნებრივია ჩნდება კითხვა, თუ რა გავლენას ახდენდა ამგვარი ტიპის სტრუქტურული ცვლილებები მსოფლიო ეკონომიკაში და როგორ იცვლებოდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიზნები და მისი მიღწევის სტრატეგიები.

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაციის თეზისის შესახებ წლების განმავლობაში მზარდი სკეპტიციზმი არსებობდა, მას საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის განვითარების პოლიტიკაზე ადრეული ზეგავლენა გააჩნდა (Arestis, 2005: 6). როცა ქვეყნის შიგა ფინანსურ სისტემას გააჩნია სისუსტეები, არ არსებობდა მტკიცებულება თუ რატომ უნდა გაუქმებულიყო კაპიტალის მოძრაობის კონტროლის მექანიზმები, მიუხედავად ამისა საერთაშორისო სავალუტო ფონდი ამტკიცებდა, რომ მას ახალი მანდატით შეეძლო ზედამხედველობის გაწევა ადრეულ ლიბერალიზაციასთან (Gregorio, Eichengreen, Ito, Wyplosz, 1996: 35). საერთაშორისო ვაჭრობასთან და გახსნილ ბაზრებთან დაკავაშირებით არ არსებობს ორგვარი შეხედულება, ყველა თანხმდება რო ის დადებითად აისახება ქვეყნებზე, მაგრამ კაპიტალის მოძრაობა შესაძლოა ყველა ქვეყანაზე დადებითად არ აისახოს. კაპიტალის მოძრაობას აქვს რამდენიმე გამოკვეთილი დადებითი გავლენა: 1. კაპიტალის მოძრაობა ხელს უწყობს ნაყოფიერი საქმიანობის გადანაწილებას მთელი მსოფლიო მასშტაბით და საინვესტიციო დივერსიფიკაციას სტაბილური მოხმარების მიღწევის გზით, 2. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და ინვესტორები მონიტორინგს უწევენ სუვერენული სახელმწიფოების ეკონომიკურ პოლიტიკებს და მათ დისციპლინის შენარჩუნებაში ეხმარებიან, 3. კაპიტალის ანგარიშის ზრდა ხელს უწყობს ფინანსური ბაზრების განვითარებას ქვეყანაში. მართლაც, კაპიტალის მოძრაობის გამარტივების შედეგად მთელ რიგ აქტიურ საერთაშორისო საინვესტიციო ინსტიტუტებს, მაგალითად, საპენსიო ფონდებს, სადაზღვევო კომპანიებს, საინვესტიციო ფონდებს გაუჩნდათ შესაძლებლობა თავიანთი ინვესტიციების დივერსიფიკაცია მოეხდინათ თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მაგრამ ამ

ინვესტიციების შედეგები სუვერენული ქვეყნების ეკონომიკებზე უმეტესწილად დამოკიდებულია მათი პოლიტიკოსების მიერ გატარებულ ეკონომიკურ ღონისძიებებზე, გამართული ფინანსური გარემოსა და ბაზრის შექმნაზე, კაპიტალის შემოდინებასთან დაკავშირებულ ადეკვატურ შეზღუდვებსა და რეგულაციებზე. ქვეყანაში შემოდინებული კაპიტალი შეიძლება იყოს არასტაბილური, ხელოვნურად გააფართოოს ბიზნეს ციკლები და გაზარდოს ფინანსური კრიზისის მოხდენის შანსები. ცუდად რეგულირებულ ბაზრებზე გარე სესხების მოცულობა დიდი შანსია აღმოჩნდეს მოკლევადიანი და ორიენტირებული იყოს უფრო მეტად სხვა ქვეყნის ვალუტაზე ნაცვლად ადგილობრივისა. ღრმა, ეფექტიანი და განვითარებული საშინაო კაპიტალის ბაზრების გარეშე შესაძლებელია კაპიტალის შემოდინება ქვეყნისთვის ძლიერ დამანგრეველი აღმოჩნდეს. სამწუხაროდ, ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაციის პროცესის დაწყებიდან მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში არაერთ ფინანსურ კრიზისს ჰქონდა ადგილი. ამის საუკეთესო მაგალითია 1997 წლის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიური ქვეყნების კრიზისი, რომელმაც მცირე დროში მასშტაბური ხასიათი მიიღო.

2.2 პოლაკის მოდელი

მას შემდეგ რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა დაიწყეს ფუნქციონირება როგორც საერთაშორისო ეკონომიკურმა ინსტიტუტებმა, მათი ევოლუცია მნიშვნელოვნად განსაზღვრა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიო პოლიტიკურ (აფრიკის სახელმწიფოების დამოუკიდებლობის მოპოვება, საბჭოთა კავშირის დაშლა და ა.შ) და ეკონომიკურ (დასავლეთ ევროპის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ცენტრალური აზიის ეკონომიკური აღმავლობა) ცხოვრებაში განვითარებულმა მოვლენებმა, ასევე სხვადასხვა დროს მიმდინარე ეკონომიკური თეორიის ტენდენციებმა და ციკლებმა (კეინზიანიზმი, მონეტარიზმი, ვაშინგტონის კონსენსუსი და ა.შ). ბუნებრივია, ზოგიერთი მნიშვნელოვანი მოვლენის მასშტაბი და ხარისხი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დღევანდელ სტრუქტურასა და მანდატზე ერთმენეთისგან განსხვავდებოდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი შეიქმნა იმ მთავარი მიზნით, რათა ხელი შეეწყოს გლობალური ეკონომიკური სისტემის გაცვლითი კურსების სტაბილურობისათვის, რომელიც თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო როგორც ფიქსირებული, მაგრამ რეგულირებადი. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიოში, სადაც კაპიტალის მოძრაობა მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მთავარ ფუნქციას წარმოადგენდა მისი წევრი ქვეყნების მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის სავალუტო კურსებთან შესაბამისობაში მოყვანა და თუ ადგილი ჰქონდა საგადასახდელო ბალანსის მუდმივ დისბალანსს რომელიმე ქვეყანაში ფონდი უზრუნველყოფდა დევალვაციას არ მოეხდინა სხვა სახელმწიფოებში ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუარესება. მაგრამ 1970-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ბრეტონ ვუდსის ფიქსირებული კურსების სისტემა დაიშალა და ქვეყნები გადავიდნენ მცურავი სავალუტო კურსების რეჟიმზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფუნქციამ დაიწყო გარდაქმნა (Reinhart, 2015: 3). მანამდე პერიოდში საერთაშორისო სავალუტო ფონდს ზედამხედველობის განსხვავებული მიდგომა გააჩნდა. ასეთ მიდგომას პოლაკის მოდელი (The Polak Model) ეწოდება, რომელიც ჟაკ პოლაკის მიერ იქნა შემუშავებული 1957 წელს. მოცემული მოდელი მიუთითებს, რომ მაკროეკონომიკურმა პოლიტიკამ თავის მიზნებს უნდა მიაღწიოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი განსაზღვრავს პოლიტიკის მიზნები შესაბამისობაში იყოს მაკროეკონომიკურ მიზნებთან (Nowak, 2012: 28). კონკრეტულად, მისი სტრუქტურა მიზნად ისახავს საგადასახდელო ბალანსი დაუკავშიროს მონეტარულ პოლიტიკას, გაცვლით კურსსა და მიმდინარე ანაგარიშს. იმის გამო, რომ პოლაკის მოდელს საერთაშორისო სავალუტო ფონდი აქტიურად იყენებდა, მას სავალუტო ფონდის მონეტარულ მოდელსაც უწოდებდნენ (Ho, 2005: 90-91). ამ მოდელის უმნიშვნელოვანი მახასიათებელი მისი სიმარტივის ხასიათში მდგომარეობდა, იგი მხოლოდ საბანკო და სავაჭრო მონაცემებს საჭიროებდა. მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს გაცილებით მეტი ეკონომიკური მონაცემების დამუშავება უხდებოდა, ვიდრე ეს პოლაკის მოდელით იყო გათვალისწინებული. პოლაკის მოდელი ეფექტიანად მუშაობდა ისეთ გარემოში, სადაც კაპიტალის მოძრაობა და ეკონომიკური მოლოდინები მყისიერად არ

იცვლებოდა. 1990-იანი წლებისათვის მსოფლიო ეკონომიკური სტრუქტურა კარდინალურად იყო შეცვლილი. განსაკუთრებით საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობა იყო მკვეთრად გამარტივებული და დროის მოკლე პერიოდში საგრძნობლად გაზრდილი, რაც ქვეყნების საგადასახდელო ბალანსში კაპიტალის ანგარიშის მნიშვნელოვან დისბალანსს იწვევდა. შედეგად თავი იჩინა იმ შეზღუდვებმა და ხარვეზებმა, რომელიც პოლაკის მოდელის გააჩნდა და რომელსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი იყენებდა თავისი ფინანსური პროგრამების განსახორციელებლად. მათი ამგვარი მიდგომა შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობდა საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობის განმსაზღვრელ ძირითად მახასიათებლებს: მოლოდინებს, ინსტიტუციონალურ ინვესტიორებს და გონივრული ზედამხედველობასა და რეგულირების ადეკვატურობას (Gregorio, Eichengreen, Ito, Wyplosz, 1996: 5). მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალური ტრანზაქციების მოცულობა რამდენჯერმე იყო გაზრდილი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი კვლავ ორიენტირებული იყო იმ მაკროეკონომიკურ პოლიტიკებზე, რომელიც გავლენას ახდენდა მიმდინარე ანგარიშებზე. ამასთან ერთად, 1990-იანი წლების დასაწყისისთვის, როდესაც დაიშალა სოციალისტური ეკონომიკური ტიპის მქონე საბჭოთა კავშირი, საერთაშორისო სავალუტო ფონდს ახალი მნიშვნელოვანი საქმეები გამოუჩნდა, რომელიც გულისხმობდა ახალწარმოქმნილი ქვეყნებისათვის დახმარების გაწევას სოციალური ტიპის ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გარდაქმნის პერიოდში. რაც შეეხება მსოფლიო ბანკს, მე-20 საუკუნის ბოლოსათვის მასაც ანალოგიურად ესაჭიროებოდა სასიცოხლო ცვლილებები. მსოფლიო ბანკის როლი მისი წევრი ქვეყნებისა და ზოგადად მსოფლიო ეკონომიკისთვის 1950-იან და 1960-იან წლებში საკმაოდ ნათელი იყო. ამ პერიოდში გლობალური კაპიტალის ბაზრები სუსტად იყო განვითარებული და განვითარებად ქვეყნებს კაპიტალის მოზიდვის პრობლემები გააჩნდათ, ხოლო განვითარებული ქვეყნების კერძო კომპანიები ინვესტიციების განხორციელებას საკუთარ ქვეყნებში ამჯობინებდნენ ნაცვლად განვითარებადი ქვეყნებისა დაბალი რისკისა და მოსალოდნელი მაღალი მოგების გამო. ამავე დროს განვითარებულ ქვეყნებში საბანკო და ფასიანი ქაღალდების სფეროები მკაცრი რეგულაციების ქვეშ ფუნქციონირებდნენ. 1990-იანი წლებისათვის, როდესაც

რეგულაციები შესუსტდა და მასობრივად დაიწყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელება და კაპიტალის მოძრაობა ქვეყნებს შორის, მსოფლიო ბანკის დაფინანსების სისტემა მისი წევრი ქვეყნებისთვის არარელევანტური აღმოჩნდა, გარდა ყველაზე ღარიბი ქვეყნებისა. საპასუხოდ, მსოფლიო ბანკმა შეიმუშავა ახალი ფილოსოფია, რომლის მიხედვითაც დაკრედიტება უნდა მომხდარიყო საბაზრო განაკვეთის მიხედვით, მაგრამ მისი სესხები განვითარებადი ქვეყნებისთვის ისეთივე მიმზღველი აღარ აღმოჩნდა როგორც ეს უწინ იყო. მსოფლიო ბანკის არსებობის ფუნქცია კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ბანკმა დაიწყო სხვადასხვა სფეროებში ახალი ფუნქციების ძიება, მაგალითად როგორცაა „ცოდნის ბანკი“, რომელიც წარმოადგენს ტექნიკურ მრჩეველს განვითარებადი ქვეყნებისათვის (Gregorio, Eichengreen, Ito, Wyplosz, 1996: 6), მაგრამ ბევრი მეცნიერისთვის არ არსებობდა პასუხი იმ შეკითხვაზე, თუ რატომ უნდა ყოფილიყო მსოფლიო ბანკის საქმიანობა დაკავშირებული ტექნიკური მრჩეველის მდგომარეობასთან. როგორც მომდევნო წლების არაერთმა კრიზისმა გვიჩვენა, სამწუხაროდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ტრანსფორმაცია სრულყოფილ ხასიათს არ ატარებდა და მნიშვნელოვან ხარვეზებსაც შეიცავდა.

2.3 ნეოლიბერალიზმი და ვაშინგტონის კონსენსუსი

საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი უკანასკნელი 30-40 წლის განმავლობაში მომხდარი ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების შედეგად მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ნეოლიბერალური ღირებულებების სამთავრობო პოლიტიკურ დონეზე აყვანა და ცენტრალური დაგეგმვის მქონე საბჭოთა კავშირის დაშლა მსოფლიოსთვის ახალი გამოცდილებების გაზიარების პერიოდად შეგვიძლია მივჩინოთ. ნეოლიბერალიზმის შედეგად სახელმწიფოთა ეკონომიკურ სისტემაში წარმოქმნილ ცვლილებებზე საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მხრიდან საჭირო იყო ადეკვატური და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება მათი მოქმედების სტრატეგიაში, ასევე შესაფერისი რჩევების მიცემა ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყნებისადმი ტრანსფორმაცია მოეხდინათ ეფექტიანი ბაზრების მქონე ეკონომიკის ქვეყნებად. ტერმინი „ნეოლიბერალიზმი“ მე-

20 საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული განსხვავებული მნიშვნელობებით იხმარებოდა, მაგრამ 1970-იან და 1980-იან წლებში მან კონკრეტული განსაზღვრება შეიძინა. თანამედროვე ნეოლიბერალიზმი ძირითადად დაკავშირებულია მემარჯვენე ეკონომიკურ შეხედულებებთან და თავისუფალი ბაზრის ფუნდამენტალიზმთან, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო საწარმოებისა და ქონების პრივატიზაციას, კაპიტალის ბაზრების რეგულაციებისა და შეზღუდვების მაქსიმალურ შესუსტებას, სახელმწიფო დანახარჯების მინიმიზაციას, სავაჭრო ბარიერების გაუქმებას და ა.შ. ნეოლიბერალური იდეების ფართო გამოყენება იწყება მას შემდეგ რაც ომის შემდგომმა კეინზიანურმა ეკონომიკამ 1970-იან წლებში კრაზი განიცადა და საჭირო გახდა ახალი იდეებისა და შეხედულებების პრაქტიკაში განხორციელება. ნეოლიბერალური თეორიის მომხრეები ამტკიცებენ, რომ თავისუფალი ბაზარი ეფექტიანობის, ეკონომიკური ზრდის, შემოსავლების განაწილებისა და ტექნოლოგიური პროგრესის საშუალებას იძლევა და ნებისმიერი სახელმწიფო ინტერვენცია, რომელიც ამ პროცესების წახალისებას შეეცდება, მხოლოდ გააურესებს ეკონომიკურ შედეგებს. ნეოლიბერალიზმი ეკონომიკურ თავისუფლებასთან ერთად თავისთავად მოიაზრებს პოლიტიკურ და პიროვნულ თავისუფლებასაც, რომლებიც აბსოლუტური თავისუფლების შემადგენელი მთავარი საჭირო კომპონენტებია. შესაბამისად, ნეოლიბერალიზმი წარმოადგენს ერთგვარ იდეოლოგიას, რომელიც აერთიანებს შეხედულებებს ეკონომიკის, პოლიტიკისა და ადამიანის პირადი თავისუფლების შესახებ. იმ დროისათვის ნეოლიბერალური შეხედულებები დიდი პოპულარობით სარგებლობდა ფართო საზოგადოებაში. ნეოლიბერალური შეხედულებების მთავარი წარმომადგენლების, მილტონ ფრიდმანისა და ფრიდრიხ ჰაიეკის წლების განმავლობაში ნეოლიბერალური იდეების ფართო ასპარეზზე ადვოკატირებამ, 1980-იანი წლების მარგარეტ ტეთჩერისა და რონალდ რეიგანის კონსერვატიული მთავრობების სახელმწიფო სათავეებში მოსვლა გამოიწვია, რომლებიც ნეოლიბერალური პოლიტიკების გამტარებელ პირველ ხელმძღვანელებად ითვლებიან. დღეს ნეოლიბერალიზმის კრიტიკა არათუ საკმაოდ მრავალფეროვანია და სიახლეს არ წარმოადგენს, მან დასაბამი მისცა სხვადასხვა ანტი-გლობალურ და ანტი-ნეოლიბერალურ მასშტაბურ გაერთიანებებს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის, ორი მთავარი საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტის, კრიტიკა არცთუ იშვიათად დაკავშირებულია მათ მიერ ნეოლიბერალური პოლიტიკის გატარებასთან მთელი მსოფლიოს გარშემო (Makwana, 2006). 1980-იან წლებში გამოჩნდა მსოფლიო ბანკის ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც გულისხმობდა ახალი ეპოქის შესაბამისი აზროვნების განვითარებას და ისინი უფრო მეტად დაცილებული იყო აკადემიურ წრეებს და მეინსტრიმულ პოლიტიკაზე იყო აგებული (Birdsall, de la Torre, Caicedo, 2010: 6). ნეოლიბერალური პოლიტიკების გატარების შედეგად მთავარი გამოწვევა გლობალური ეკონომიკისა იყო სუვერენული სახელმწიფოთა მთავრობებისთვის დაკავშირებული იყო ფინანსურ სექტორში განხორციელებული შეზღუდვების გაუქმებასთან და ქვეყნებს შორის კაპიტალის მოძრაობის ბარიერების მინიმუმამდე დაყვანასთან. ვაშინგტონის კონსენსუსი, რომელიც ათი ძირითადი რეკომენდაციისგან შედგებოდა, წარმოადგენდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახაზინო დეპარტამენტის (United States Department of the Treasury) სტანდარტიზებული პოლიტიკის რეცეპტს, რომლის მიზანიც იყო ეკონომიკური კრიზისგან განადგურებული ქვეყნების დახმარება და ხშირად დაკავშირებული იყო ნეოლიბერალიზმთან (Hurt, 2015). იმ პერიოდისთვის ასეთ ქვეყნებად ძირითადად ლათინური ამერიკის ქვეყნები მიიჩნეოდა. ვაშინგტონის კონსენსუსის ეს რეცეპტები თითქმის ყველა შემთხვევაში დაკავშირებული იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მაშინდელი სესხების პირობებთან, რომელიც გულისხმობდა ზოგადად ბაზრის ლიბერალიზაციას, განსაკუთრებით სავაჭრო ბარიერების შესუსტებას, ინფლაციის კონტროლს, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების პრივატიზაციას და მთავრობის ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას. ვაშინგტონის კონსენსუსის არათუ ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგების, არამედ მისი ტერმინის მნიშვნელობის შესახებაც არ არსებობდა ერთიანი პოზიცია. ტერმინი კი პირველად 1989 წელს გამოიყენა ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ უილიამსონმა და ავტორადაც ის ითვლება. ვაშინგტონის კონსენსუსი გახდა ერთგვარი მანიფესტი კაპიტალისტური ეკონომიკური განვითარების მომხრეებისათვის. კონსენსუსი ეკონომიკურ თავისუფლებასთან

ერთად, მოიცავდა პოლიტიკური დემოკრატიის განვითარებას ლათინური ამერიკის ქვეყნებში, რომლებსაც სამხედრო დიქტატორების ხანგრძლივი გამოცდილება გააჩნდათ. ბევრი სახელმწიფო შეეცადა შეესრულებინა ვაშინგტონის კონსენსუსის რეფორმების პაკეტის განსხვავებული კომპონენტები საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკისგან სესხების მიღების მიზნით (Helleiner, 2005: 193). შეიძლება ითქვას, საერთაშორისო სავალუტო ფონდი გახდა ერთგვარი იმპორტიორი ნეოლიბერალური რეფორმებისა უამრავ განვითარებად ქვეყანაში. ამ რეფორმების შედეგების შესახებ დებატები დღესაც გრძელდება, მაგრამ ვაშინგტონის კონსენსუსის შედეგად არა მხოლოდ ლათინური ქვეყნების, არამედ მთელი რიგი განვითარებადი სავალუტო ფონდის ახალი წევრი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების სტრატეგიები იქნა შეცვლილი. ეს კონცეფციები კი უმეტესად დაეფუძნა ვაშინგტონის კონსენსუსის რეკომენდაციებს, რომელიც ნეოლიბერალური იდეოლოგიური შეხედულებებიდან იყო ამოზრდილი.

2.4 სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ფინანსური კრიზისი

2008 წლის ფინანსურ კრიზისამდე მსოფლიოში სხვადასხვა კონტინენტზე ადგილი ჰქონდა რამდენიმე მნიშვნელოვან ფინანსურ კრიზისს, ძირითადად ლათინური ამერიკის ქვეყნებსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში. 1994 წლების მექსიკისა და არგენტინის და აზიური ფინანსური კრიზისების გამომწვევ მიზეზებს შორის მნიშვნელოვანი მსგავსების პოვნაა შესაძლებელი, თუმცა მათი შედეგები მასშტაბის მიხედვით ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში მოცემული ქვეყნების ეკონომიკური პარამეტრების შესახებ არსებობდა მეტ-ნაკლებად ჭეშმარიტი და ობიექტური მონაცემები, ანალიტიკოსებისა და საბაზრო სუბიექტების მიერ მაინც ვერ მოხერხდა კრიზისების წინასწარი პროგნოზირება, სანამ საქმე პოლიტიკურ გაურკვევლობამდე და დიდი კორპორაციების გაკოტრებამდე არ მივიდა. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიური ქვეყნების კრიზისი ასევე მოულოდნელი იყო „ოთხი აზიური ვეფხვის“ (The Four Asian Tigers), ჰონგ-კონგის, სამხრეთ კორეის, ტაივანისა და სინგაპურის, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ეკონომიკური ზრდის ტემპების ფონზე. მთავარი პრობლემა, თუ რატომ

ვერ მოხერხდა ამ კრიზისების პროგნოზირება დაკავშირებულია ყურადსაღები ინფორმაციის სათანადო ჩაურთველობასთან ბიზნეს რისკების შეფასებაში. ზოგადად, არასაბანკო ფინანსური შუამავლებისთვის, მაგალითად, როგორცაა ჰეჯ-ფონდები, საპენსიო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები, ფართოდ დამახასიათებელია „ცხოველური“ მენტალიტეტი, ნაცვლად საბაზრო რისკების რაციონალური და დეტალური გაანგარიშებისა (Sakakibara, 1999: 182). ეს მენტალიტეტი კი უმეტეს შემთხვევაში ორიენტირებულია სწრაფი მოგების ზრდაზე დროის მოკლევადიან პერიოდში ნაკლები რისკების ფონზე. კრედიტის შემფასებელმა საერთაშორისო სააგენტოებმა და საინვესტიციო ბანკებმაც ვერ მოახერხეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კრიზისის წინასწარმეტყველება (Radelet, Sachs, 1998: 17-19). რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდს ზოგადად კონკრეტულ რეგიონებთან დაკავშირებით ის ორი ტიპის შეფასებას აკეთებს: პირველი დაკავშირებულია ზოგადად საბაზრო შეფასებასთან მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკური პერსპექტივიდან გამომდინარე, ხოლო მეორე კონკრეტულ ქვეყნებთან, რომელიც აისახება აღმასრულებელი საბჭოს ანგარიშებში წევრ ქვეყნებთან კონსულტაციების შემდეგ. პირველ შემთხვევაში საერთაშორისო სავალუტო ფონდს აზიის რეგიონთან დაკავშირებით მაკროეკონომიკური ცვლილების თითქმის არანაირი პროგნოზი არ ჰქონია. მეორე შემთხვევაში აღმასრულებელი საბჭოს შეხვედრებიდან ინდონეზიასთან, კორეასთან და ტაილანდთან მთავარი რეკომენდაციები შეეხებოდა სავალუტო კურსების უფრო მეტი მოქნილობის მიღწევას, საბანკო სექტორის ზედამხედველობის გაუმჯობესებას, ფისკალური პოლიტიკის გამკაცრებას და კაპიტალის ნაკადების მიმართ უფრო მეტ გახსნილობას (Radelet, Sachs, 1998: 21). 1997 წლის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიური ქვეყნების კრიზისი კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ფინანსური ბაზრის განუვითარებლობის პირობებში ჭარბი კაპიტალის შემოდინებამ დააზარალოს არა მხოლოდ საკუთრივ ქვეყნის ეკონომიკა, არამედ მთელი რეგიონი ეკონომიკური კატასტროფის წინაშე დააყენოს. კრიზისამდე პერიოდში მოცემული რეგიონის ქვეყნებში თანადროულად იზრდებოდა, ეკონომიკა, უცხოური კაპიტალის რაოდენობა და სახელმწიფო ვალეები, რაც არასწორი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას აღრმავებდა. ინდონეზია, სამხრეთ, კორეა და

ტაილანდი კრიზისის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდნენ. ჰონგ-კონგი, მალაიზია, ფილიპინები და ლაოსი შედარებით ნაკლებად. მიუხედავად იმისა, რომ კრიზისი უშუალოდ არ შეხებია ჩინეთს, სინგაპურს, ტაივანსა და ვიეტნამს, მთელი რეგიონის მასშტაბით მოთხოვნის შემცირებამ მათზეც მოახდინა ზეგავლენა. კრიზისი შეეხო იაპონიასაც მაგრამ მცირე მასშტაბებით. მოცემული კრიზისი დაიწყო ტაილანდში ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების შედეგად. ძირითად შემთხვევაში ქვეყნებმა განიცადეს ეროვნული ვალუტების სწრაფი დევალვაცია და უცხოური კაპიტალის სწრაფი გადინება, რადგან ინვესტორების მოლოდინები დროის მცირე მონაკვეთში ჯაჭვური რეაქციის შედეგად რადიკალურად შეიცვალა და მასობრივად დაიწყეს კაპიტალის გატანა წაგებისგან თავის ასარიდებლად. მოცემულმა კრიზისმა სერიოზული ეჭვები გააჩინა საერთაშორისო სავალუტო ფონდის კერძო ფინანსურ ბაზრებზე წარმოქმნილი ფინანსური დარღვევების მართვასთან დაკავშირებით (Radelet, Sachs, 1998: 2).

შესაძლებელია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიური ქვეყნების კრიზისი გამოწვეული არ ყოფილიყო უშუალოდ ვაშინგტონის კონსენსუსის შედეგად, მაგრამ ის იყო შედეგი იმ მსოფლიო მასშტაბის ეიფორიისა საბაზრო მექანიზმების შესახებ, რომელთაც შექმნეს ბუშტი და შემდეგ ააფეთქეს ის (Sakakibara, 1999: 184). ამ კრიზისის ობიექტური დაკვირვების შემდგომ ნათელი გახდება, რომ მოულოდნელი ცვლილებები ლიბერალიზებულ, მაგრამ არასტაბილურ და განუვითარებელ კაპიტალის ბაზრებზე იწვევენ განსხვავებული სიდიდისა და ხანგრძლივობის კრიზისებს. მოცემული კრიზისი უპრენცენდენტო იყო მისი ხასიათისა და ინტენსივობის მიხედვით. უცაბედი ცვლილებები საგარეო მიმდინარე ანგარიშში, ღრმა რეცესიები, უმუშევრობის ზრდა და ცხოვრების სტანდარტების მკვეთრი შემცირება, განსაკუთრებით ღარიბ მოსახლეობაში, ამ კრიზისის შემდგომი პერიოდის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს წარმოადგენს (Furusawa, 2017). 1997 წლის კრიზისამდე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების უმრავლესობა ფინანსურ და კომერციულ გარიგებებთან დაკავშირებით ლიბერალურ ჩაურევლობის პოლიტიკას (Laissez-Faire) მიჰყვებოდა. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კომერციალიზაციის, ფინანსიალიზაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების შედეგად ეკონომიკური სტრუქტურები

ზედაპირულად ვითარდებოდა, ხოლო წარმოების პროცესი და რეალური სექტორი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ფინანსურ სექტორს, რაც ხელს უწყობდა ფინანსური აქტივების ბუშტის შექმნას. ძირითადი დაკრედიტება მოდიოდა მომსახურების სფეროსა და უძრავი ქონების ბიზნესზე, ნაცვლად რეალური სექტორისა, შედეგად ეკონომიკა ფინანსურ ცენტრებზე კიდევ უფრო მეტად დამოკიდებული ხდებოდა. ფინანსური სექტორის გაბერილმა ზომამ და ძალაუფლებამ კრიზისის დროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა. მოცემული კრიზისი ვაშინგტონის კონსენსუსის პოლიტიკის შედეგის კარგი მაგალითია, რომლის დროსაც ჭარბი ოპტიმიზმი საბაზრო მექანიზმების თვითრეგულირების შესახებ დროის მცირე მონაკვეთშიმასობრივ პანიკაში გადაიზარდა.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ფინანსურმა კრიზისმა სერიოზული მაკროეკონომიკური დონის გავლენა მოახდინა აზიურ ქვეყნებზე, ვალუტების გაუფასურებით და საფონდო ბირჟებზე აქციის ფასების ვარდნით (Tiwari, 2003: 1-3). მოცემული კრიზისის გამომწვევ გრძელვადიან მიზეზებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის ფაქტორები, რომელთაც აზიური ქვეყნების ეკონომიკები მნიშვნელოვნად დამოკიდებული გახდა ფინანსურ ბაზარზე. ზოგადად, დამოუკიდებელი ქვეყნების მთავრობათა მიზანს წარმოადგენს დროის მოკლე პერიოდში პოლიტიკური დივიდენდების მიღება, რომლისთვისაც ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარება ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ამის მიღწევა კი კარგად ხერხდება, როდესაც მთავრობებს, ბანკებსა და დიდ ფირმებს შორის არსებობს ჰარმონიული ურთიერთობა, რაც ხშირ შემთხვევაში მთავრობათა მხრიდან კერძო პროექტების მიმართ დაუფარავ მხარდაჭერაში გამოიხატება ხოლმე. კრიზისის დაწყების მიზეზად რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება შეიძლება იქნეს გაანალიზებული. 1990-იანი წლების ბოლოსკენ ამერიკის შეერთებულ შტატებში საპროცენტო განაკვეთების ზრდის მეშვეობით დაწყებულმა ანტიინფლაციურმა სამთავრობო კამპანიამ „ცხელი ფულის“ (Hot Money) ნაკადები ამ ქვეყნისკენ მიმართა (Pettinger, 2018). აზიის ქვეყნებმა კაპიტალის მიზიდულობა უფრო მეტად დაკარგეს, შედეგად ამ ქვეყნის მთავრობები აღმოჩნდნენ მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე შეეჩერებინათ ეროვნული ვალუტების გაუფასურება ფიქსირებულ აშშ დოლართან მიმართებაში. სამხრეთ-აღმოსავლეთ

აზიის ქვეყნებს, რომელთაც საკუთარი ვალუტები აშშ დოლართან ჰქონდათ მიბმული, აშშ დოლარის გამყარების შედეგად, საექსპორტო პროდუქცია გაუძვირდათ და კონკუნტუნარიანობა დაკარგა გლობალურ ბაზარზე, რაც მათ ვალუტებს უფრო მეტად აუფასურებდა. კრიზისის უშუალო დაწყების თარიღად ითვლება 1997 წლის 2 ივლისი, როდესაც ტაილანდის მთავრობამ ეროვნულ ვალუტაზე სპეკულაციური დარტყმების შედეგად გადაწყვიტა ტაილანდური ბატი გადაეყვანა მცურავი გაცვლის რეჟიმზე და აღარ ყოფილიყო მიბმული აშშ დოლარზე, შედეგად ქვეყნის სავალუტო რეზერვებმა მკვეთრი კლება დაიწყო. ადგილობრივ კორპორაციებს გაუჩნდათ ტაილანდური ბატის გაუფასურების მოლოდინები და მასობრივად დაიწყეს აშშ დოლარზე გადაცვლა, რამაც კრიზისის დაწყების პირველივე დღეს ტაილანდური ბატი 15%-ით გააუფასურა. ტაილანდური ბატის გაუფასურებამ რეგიონის სხვა ქვეყნების ბანკებისა და საინვესტიციო ფონდების ყურადღება მოკლე დროში მიიპყრო და საბოლოოდ ანალოგიური პრინციპით ამ ქვეყნების ვალუტებმაც დაიწყო გაუფასურება. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის (ASEAN) ოთხი უდიდესი სახელმწიფოს საგარეო ვალი მთლიან შიგა პროდუქტთან მიმართებაში 1993 წლიდან 1996 წლამდე გაიზარდა 100%-დან 167%-მდე, ხოლო კრიზისის ყველაზე მწვავე მომენტში 180%-ს გადააჭარბა (ADB, 2003). აშშ დოლარში გამოხატული სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის მთლიანმა შიგა პროდუქტმა 1997 წელს 9,2 მილიარდი აშშ დოლარით დაიკლო, ხოლო 1998 წელს 218,2 მილიარდი აშშ დოლარით. სამხრეთ კორეის მშპ-ის 1998 წელს 170,9 მილიარდი დოლარით შემცირება 1997 წლის მშპ-ის 33,1 %-ს შეადგენდა (ADB, 2001). სამხრეთ კორეაში, ინდონეზიაში, მალაიზიაში, ტაილანდსა და ფილიპინებში 1994 წლიდან 1996 წლამდე 220 მილიარდი დოლარის ღირებულების კერძო კაპიტალი შევიდა, ხოლო 1997 წელს, კრიზისი პერიოდში, დაახლოებით 100 მილიარდი დოლარის ღირებულების კაპიტალმა დატოვა რეგიონი (Sakakibara, 1999: 182).

კრიზისისადმი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მთავრობათა რეაგირება რეგიონის მასშტაბით განსხვავებული იყო. ზოგიერთმა გატარებულმა ღონისძიებამ შეძლო კრიზისის შერბილება, ზოგიერთმა კი უფრო მეტად გაამძაფრა სიტუაცია. მაშინ როცა მათ ნათლად გააცნობიერეს კრიზისის სიმძიმის ხარისხი, ასევე რამდენიმე

მილიარდი დოლარის დაკარგვისა და ქვეყნების ეკონომიკის ჩამოშლის საფრთხე, დახმარებით მიმართეს საერთაშორისო სავალუტო ფონდს. სიტუაცია მოითხოვდა, რომ საგარეო გადაუდებელი ინტერვენცია ყოფილიყო საერთაშორისო და კოოპერატიული. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინტერვენციამ სადავო გახადა საკითხი მათი საჭიროებისა და ეფექტიანობის შესახებ (Pettinger, 2018). საერთაშორისო სავალუტო ფონდმა დაიწყო „სამაშველო პაკეტების“ (Rescue Packages) შექმნა კრიზისგან ყველაზე დაზარალებული ქვეყნებისთვის, რათა თავიდან აერიდებინა საბანკო და საფინანსო სისტემის დეფოლტი (Fischer, 1998). შესაბამისად, თითოეული ქვეყნისათვის დაფინანსების გაფართოების მიზნით დაიწყო ინდივიდუალური პაკეტების შედგენა. ტაილანდმა მოცემული პაკეტი მიიღო 1997 წლის აგვისტოში, ინდონეზიამ ოქტომბერში, კორეამ დეკემბერში. ამათგან განსხვავებით, მალაიზიის მთავრობამ გადაწყვიტა ამ პაკეტის მიღებისგან და საკუთარი ძალებით შეეცადა კრიზისის დამლევას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, აზიის განვითარების ბანკისა და ზოგიერთი განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების მხრიდან ტაილანდს, სამხრეთ კორეასა და ინდონეზიას ფინანსური მხარდასაჭერის მიზნით მომდევნო 2-3 წლის განმავლობაში გამოეყო შესაბამისად 17,2 მილიარდი აშშ დოლარი, 40 მილიარდი აშშ დოლარი და 57 მილიარდი აშშ დოლარი (Radelet, Sachs, 1998: 40-41). გაცემული ფინანსური რესურსები ამ ქვეყნების სასესხო კვოტებს რამდენჯერმე აღემატებოდა. საერთაშორისო ფინანსური დახმარებების მიუხედავად, მოცემული ქვეყნებიდან უცხოური კაპიტალის გადინების შეჩერება ვერ მოხერხდა და ეროვნული ვალუტები კვლავ მკვეთრ გაუფასურებას განაგრძობდნენ, რაც საბოლოოდ 1998 წლისათვის ტაილანდის მთლიანი შიგა პროდუქტი შემცირდა 10%-ით, სამხრეთ კორეის 5,8%-ით, ხოლო ინდონეზიის 13,7%-ით (HIEBS, 2000: 18). მიღებული ფინანსური მხარდაჭერის საპირისპიროდ მოცემული ქვეყნები ვალდებული იყვნენ დამორჩილებოდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამა, „სტრუქტურული რეგულირების პაკეტი“ (Structural Adjustment Package) მიზნების მისაღწევად რამდენიმე ძირითად მოთხოვნას ემყარებოდა: ფისკალური პოლიტიკის მოწესრიგებას, საშინაო კრედიტის შეზღუდვას, საგარეო ვალების დაფარვას და კაპიტალის ბაზრის

მოწესრიგებას (Radelet, Sachs, 1998: 42-43). საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ფისკალური პოლიტიკის გატარებას წარმოადგენდა. ფონდი მოითხოვდა, რომ სახელმწიფო დანახარჯები შემცირებულიყო, გაზრდილიყო გადასახადები და საპროცენტო განაკვეთები და პრივატიზაციის პროცესი დაჩქარებულიყო. ასეთმა კონტრაქციულმა ფისკალურმა პოლიტიკამ გამოიწვია ეკონომიკური ვარდნის გაძლიერება და რეცესიისკენ სწრაფვა, გაიზარდა ბიზნესმენტა გაკოტრებათა რაოდენობა და გადინებული კაპიტალის მოცულობა (Pettinger, 2018). ეკონომიკური კრიზისისადმი ასეთი ტიპის მიდგომა რადიკალურად ეწინააღმდეგება კეინზიანურ თეორიას, რომლის მიხედვითაც, კრიზისის დროს საჭიროა სამთავრობო ხარჯების ზრდა და საპროცენტო განაკვეთების შემცირება მოთხოვნის სტიმულირების მისაღწევად.

რა გამოცდილება და გაკვეთილები გაიზიარეს აზიურმა ქვეყნებმა 1997 წლის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ფინანსური კრიზისიდან 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის დროს? 1997 წლის კრიზისის საპასუხოდ აზიის ქვეყნებმა მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება გადაწყვიტეს და ძირითადი პრობლემების ძიება ღრმა ფესვებიდან დაიწყეს: ბევრმა მათგანმა მცურავი სავალუტო კურსების გამოყენება დაიწყო, შეამცირეს საგარეო ფაქტორების მხრიდან მოწყვლადობა, გულდასმით გადაისინჯა ფინანსური სექტორის რეგულირებისა და ზედამხედველობის მექანიზმები, სამთავრობო და კერძო სექტორის ვალები შეამცირეს და შიგა კაპიტალის ბაზრები განავითარეს (Furusawa, 2017). აზიის რეგიონი 2008 წლის ფინანსურ კრიზისს ბევრად მომზადებული შეხვდა, ვიდრე 11 წლის წინათ, მათ შეძლეს 2008 წლის ფინანსური კრიზისის დამანგრეველი შედეგების თავიდან აცილება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპისგან განსხვავებით. რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდს, 2000 წლის ივნისში, გამოაქვეყნა მოხსენება „გამოცოცხლება აზიის ფინანსური კრიზისიდან და საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლი“, რომელიც იძლეოდა შემდგომი ეკონომიკური ზრდის შესანარჩუნებლად შესაბამის რეკომენდაციებს სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების გზით:

- ფინანსური სექტორის რესტრუქტურის დაჩქარება, რომელიც მოიცავს კომერციული ბანკების რეკაპიტალიზაციის დასრულებას, სესხის გაცემის გაუმჯობესებას და აქტივების გაყიდვას. მიღებული შემოსავლის მოხმარება რესტრუქტურის მაღალი ხარჯების დაფარვისთვის;
- კორპორატიული რესტრუქტურის გაძლიერება, კორპორატიული ბალანსის აღდგენის გზით. შედეგად გაძლიერებული მუშაობა კრედიტორებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ ვალებისა და ოპერაციულ რესტრუქტურის კონკურენტუნარიანობისა და მომგებიანობის აღდგენის მიზნით;
- ახალი კანონიერი, სავაჭრო, კონსტიტუციის მიღება თანამედროვე ეკონომიკისთვის, მათ შორის ახალი კანონების მიღება გაკოტრებისა და კონკურენციის პოლიტიკის შესახებ და მისი ზედამხედველი შესაბამისი დაწესებულებების შექმნა;
- საბაზრო ღიაობისა და დერეგულაციის პროცესის გაგრძელება, მათ შორის სავაჭრო ლიბერალიზაცია და ბიზნესისათვის ლიცენზიების გაცემის გამარტივება. ეს ღონისძიებები საჭიროა კერძო საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით ახალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და პროდუქტიულობის გაზრდის ხელშესაწყობად;
- სოციალური უსაფრთხოების ბაძეებისა და ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტირების გაგრძელება, რომელიც უზრუნველყოფს სოციალური სტაბილურობის შენარჩუნებას მიზნობრივი სუბსიდიების, განათლებისა, ჯანმრთელობის პროგრამებისა და დასაქმების პროგრამების შექმნის გზით.

სამწუხაროდ, როგორც აღმოჩნდება, ყველაზე გავლენიანმა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტმა, მისი დაარსების ათეულობით წლის შემდეგ, რომელიც არაერთ კრიზისსა და რეცესიას მოსწრებია, ვერ შეძლო დიდი დეპრესიის შემდეგ მსოფლიო ისტორიაში ყველაზე მწვავე ფინანსური კრიზისის პროგნოზირება.

2008 წლის ფინანსური კრიზისი

2008 წლის ფინანსურ კრიზისამდე 10 წლით ადრე, აზიის ფინანსური კრიზისის დროს ადგილი ჰქონდა დისკუსიებს გლობალური ფინანსური არქტიქტურის

რეფორმების საჭიროების შესახებ, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული მომდევნო კრიზისების მოხდენის შანსი. სამწუხაროდ, როგორც შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა ცდადყო, იმ პერიოდისთვის ვერ მოხერხდა ადეკვატური ზომების მიღება შემდგომი კრიზისების პრევენციისათვის. 2008 წლის ფინანსური კრიზისი დიდი დეპრესიის შემდეგ მიჩნეულია მსოფლიოს ყველაზე მწვავე კრიზისად, რომელიც თავდაპირველად დაიწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, გავრცელდა ევროპაში და საბოლოოდ გლობალური ხასიათი მიიღო. კრიზისი დაიწყო მსოფლიო ეკონომიკური ცენტრებიდან და პერიფერიამდე მიაღწია. განვითარებად ქვეყნებს, რომლებსაც არავითარი წვლილი მოცემული კრიზისის წარმოქმნაში არ მიუძღვოდათ, ყველაზე დიდი მსხვერპლის გაღება მოუხდათ. მთავარი პრობლემა, რაც მათ შეექმნათ დაკავშირებული იყო მათ საექსპორტო საქონელზე მოთხოვნისა და ფასების შემცირებასთან, რასაც თან ახლდა კაპიტალის ნაკადებისა და ფულადი გზავნილების შემცირება. მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებს შეეძლოთ მოქნილი ფისკალური რეაგირება, ეკონომიკის სტიმულირება, სუსტი ფინანსური სისტემების გაძლიერება, საკრედიტო უზრუნველყოფა და სოციალური პროგრამების გაძლიერება, განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში ადგილი ჰქონდა საბიუჯეტო შეზღუდვებს და არ ჰქონდათ შესაძლებლობა მსგავსი პოლიტიკების განხორციელებისა. შეიძლება ითქვას, რომ ფინანსური კრიზისი გადაიზარდა გლობალურ სოციალურ კრიზისში. ფინანსური კრიზისის სწრაფმა გავრცელებამ მცირერიცხოვანი განვითარებული ქვეყნებიდან გლობალურ ეკონომიკამდე გამოავლინა, რომ საერთაშორისო ვაჭრობა და ფინანსური სისტემა საჭიროებდა საფუძვლიან რეფორმაციას 21-ე საუკუნისთვის დამახასიათებელი გარემოებების გათვალისწინებით. მოცემულმა კრიზისმა გამოააშკარავა ფუნდამენტური პრობლემები არა მხოლოდ სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემებისა, არამედ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, რომლებსაც ევალეზობდათ ზედამხედველობის გაწევა ფინანსური სისტემების, კონკურენციის ხელშეწყობის, კორპორაციათა მართვასთან დაკავშირებით საერთაშორისო ფინანსური და ეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად. 2008 წლის კრიზისის დროს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა დაამტკიცეს, რომ ისინი უძღურნი აღმოჩნდნენ კრიზისის თავიდან აცილებასა და ადეკვატური რეაგირების

შემუშავებაში. კრიზისამდელ წლებში გლობალურ ეკონომიკაში დიდი ცვლილებები იყო განხორციელებული გლობალური დანაზოგების, საგარეო სავალუტო რეზერვების, მთლიანი შიგა პროდუქტისა და ა.შ. ეკონომიკურ პარამეტრებში, რომლებიც სრულყოფილად არ იქნა ასახული გლობალური ეკონომიკური ინსტიტუტებისა და შეთანხმებებში. მოცემულმა კრიზისმა წარმოშვა საჭიროება გლობალური ეკონომიკური შეთანხმებებისა და ფართოდ გავრცელებული ეკონომიკური დოქტრინების გადახედვის შესახებ. ექვგარეშეა, ის ფაქტი, რომ ასეთი მასშტაბისა და ხანგრძლივობის კრიზისი გამოწვეული იყო არაერთი ფაქტორის შედეგად. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ორი მთავარი ფაქტორის გამოყოფა: 2001 წლიდან მოყოლებული ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ გატარებული შერბილებული მონეტარული პოლიტიკა და გლობალური ფინანსური დისბალანსის ზრდა და მასთან დაკავშირებული კაპიტალის ნაკადების ინტენსივობის ზრდა (ბაქრამე, 2014: 14). ფინანსური სისტემის ჩავარდნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი დაკავშირებულია იმ ფინანსური ინოვაციების ზრდასთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა კრიზისის წინა წლების განმავლობაში. ტერმინი ფინანსური ინოვაცია დაკავშირებულია ფინანსური პროდუქტების მიმდინარე განვითარებასთან კლიენტების გარკვეული მიზნების მისაღწევად. ამ კრიზისადმი დაკავშირებული იყო სხვადასხვა ტიპის ფინანსური ინოვაციური პროდუქტები, მაგალითად, როგორცაა რეგულირებადი იპოთეკური სესხის განაკვეთი, იპოთეკით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდები (MBS) და სავალო ვალდებულებით უზრუნველყოფილი ობლიგაცია (CDO).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის გლობალური ფინანსური სტაბილურობის ანგარიში (GFSR), რომელიც 2003 წლიდან ნახევარ წელიწადში ერთხელ გამოდის გლობალური ფინანსური სისტემის წინაშე მდგარ რისკებს და ხაზს უსვამს იმ პოლიტიკას, რომელიც შესაძლებელია დაეხმაროს სისტემური რისკების შემცირებას და ფინანსური სტაბილურობის გაუმჯობესებას. კრიზისის დაწყებამდე მოცემული ანგარიშში იყო გაფრთხილებები საკრედიტო და საბაზრო რისკების შესახებ, რომელიც დაკავშირებული იყო კომპლექსური, სუბსტანდარტული იპოთეკური სესხების ზრდასთან (Xafa, 2010: 476). მიუხედავად ამ გაფრთხილებისა, პოლიტიკოსები დიდი ყურადღებით არ ეკიდებოდნენ მსგავს რჩევებს, რადგან გლობალური ეკონომიკა

ზრდას განაგრძობდა. ის ფაქტი, რომ ფინანსური კრიზისი წარმოიშვა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ძალისხმევა კრიზისის პრევენციისა კიდევ უფრო მეტად შეასუსტა. მისი მხრიდან უფრო მკაცრი ზედამხედველობა შეძლებდა ფონდის ეფექტიანობისა და ლეგიტიმურობის გაზრდას და უკეთესი ბალანსის მიღწევას ქვეყნებს შორის. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთ-ერთი მთავარი შეცდომა მდგომარეობდა განვითარებული ქვეყნებისადმი არასაკმარისი ზედამხედველობის გამოვლენაში. კრიზისის დაწყების შემდეგ, სავალუტო ფონდმა უზრუნველყო ღირებული პოლიტიკური რეკომენდაციების მიცემა პოლიტიკოსების და რეგულატორებისთვის, რომელიც დაფუძნებული იყო გლობალური ფინანსური კრიზისის წარმოშობისა და სავარაუდო შედეგების მკვეთრი ანალიზის საფუძველზე.

2009 წლის სექტემბერში, პიტსბურგში დიდი ოცეულის შეხვედრაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის გლობალური ფინანსური სტაბილურობის ანგარიშში განხილული პრიორიტეტები აშკარად იყო კომუნიკეში ასახული (Xafa, 2010: 477). შემოთავაზებული წინადადებები მიზნად ისახავდა ინტერესთა კონფლიქტების მოგვარებას, რისკის მართვის გაუმჯობესებას, ინფორმაციული ვაკუუმის ამოვსებას და ა.შ.

ჯოზეფ სტიგლიცი, ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი და ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში, რომელმაც გაეროს კომისიის ფინანსურ ექსპერტებთან ერთად მოამზადა ანგარიში 2008 წლის ფინანსური კრიზისის შესახებ, დიდ თავს უთმობს ფინანსური რეგულირების საჭიროებას და აღნიშნავს, რომ გლობალური ეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად საჭიროა გლობალური რეგულირების სისტემების განვითარება. მისი აზრით, არსებობს კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, რომ არაადეკვატურმა რეგულაციებმა და მარეგულირებელმა ინსტიტუტებმა ვერ შეძლეს თავიანთი საქმის ეფექტიანად წარმართვა, რაც საბოლოოდ კრიზისამდე მივიდა. სტიგლიცი ასევე ადანაშაულებს მთავრობებს, რადგან მათ ვერ მოახერხეს ფინანსური სექტორის საკუთარი თავისგან დაცვა და გადასახადების გადამხდელების, მუშების, სახლის მფლობელებისა და პენსიონერების დაცვა მაღალი გადასახადებისგან (Stiglitz, 2010: 59). სტიგლიცი მიუთითებს საბანკო რეგულაციების გამკაცრებაზეც,

რადგან ბანკების წვდომამ ცენტრალური ბანკის ლიკვიდურობაზე და დანარჩენი ეკონომიკისთვის ლიკვიდურობის გადაცემამ კრიტიკული როლი ითამაშა კრიზისის გავრცელებაში. სტიგლიცი ასევე ეხება რეგულაციების საზღვრებს, აღნიშნავს, რომ საჭიროა რეგულაციები იყოს ყოვლისმომცველი, ფინანსური ინსტიტუტების ეკონომიკური ფუნქციების შესაბამისად განსაზღვრული, და არა იმის მიხედვით თუ რას უწოდებენ ისინი საკუთარ თავს, როგორც ეს კრიზისამდე იყო, როცა მაგალითად სადაზღვევო პროდუქტები რეგულირდებოდა სადაზღვევო მარეგულირებლის მიერ, ხოლო დერივატივები, რომლებსაც ბევრი მსგავსები გააჩნდათ სადაზღვევო პროდუქტებთან დაურეგულირებელი რჩებოდა (Stiglitz, 2010: 79). სტიგლიცი ასევე ერთმანეთისგან განასხვავებს მიკრო-პრუდენტულ და მაკრო-პრუდენტულ რეგულირებას. მისი მტკიცებით, პირველი ტიპის რეგულაციები მიმართული უნდა იყოს მოწყვლადი მომხმარებელთა დაცვისაკენ, ხოლო მეორე - სისტემური რისკის მთავარ კომპონენტებზე, როგორცაა მაგალითად სისტემურად მნიშვნელოვანი ქვეყნებისა და ინსტრუმენტების და მათი ურთიერთქმედების განსაზღვრა ეკონომიკურ ციკლებთან (Stiglitz, 2010: 80).

2.6 ინფლაციის თარგეთირება

ზოგადად მონეტარული პოლიტიკის მიზანია ეკონომიკისთვის ნომინალური ღუზის (Nominal Anchor) ფუნქციის შესრულება, რაც პირველ რიგში მიზნად ისახავს გრძელვადიან პერიოდში ფასების სტაბილურობის შენარჩუნებას. ამის მისაღწევად, ცენტრალური ბანკები წლების განმავლობაში იყენებდნენ ადგილობრივი ვალუტის ისეთ ქვეყნის ვალუტაზე დაფიქსირებას, რომელიც დაბალი ინფლაციურობით გამოირჩეოდა (Jahan, 2012). ასეთი მიდგომის შედეგად ცენტრალური ბანკების მონეტარული პოლიტიკა მეტწილად დამოკიდებული ხდებოდა იმ ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკაზე, რომლის ვალუტაზეც იყო ფიქსირებული ადგილობრივი ვალუტა და ზღუდავდა ცენტრალური ბანკების ფუნქციას შოკების მიმართ ადეკვატური რეაგირება მოეხდინათ. მას შემდეგ, რაც ბევრმა ქვეყანამ ფიქსირებული გაცვლითი კურსი გადაიყვანა მცურავ რეჟიმზე დღის წესრიგში დადგა ახალი მონეტარული პოლიტიკების შემუშავება.

ინფლაციის თარგეთირება წარმოადგენს ისეთი მონეტარული პოლიტიკის რეჟიმს, რომელშიც ცენტრალური ბანკის ფუნქცია აინფლაციის წინასწარ განსაზღვრული მაჩვენებლის მიღწევა საშუალოვადიან პერიოდში. ასეთი მიდგომის ლოგიკა მდგომარეობს იმაში, რომ ცენტრალურ ბანკის მიერ განხორციელებულ მონეტარულ პოლიტიკას შეუძლია გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა და სასაქონლო ფასების სტაბილურობის შენარჩუნება. ცენტრალური ბანკები მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებლის მისაღწევად ხშირ შემთხვევაში იყენებენ საპროცენტო განაკვეთების ზრდას ან შემცირებას. იმ შემთხვევაში თუ ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი აღემატება მიზნობრივ მაჩვენებელს, ეროვნული ბანკი გაამკაცრებს მონეტარულ პოლიტიკას, რაც გამოიხატება მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთის ზრდით. ხოლო ინფლაციის დაბალი საპროგნოზო მაჩვენებლის შემთხვევაში გატარდება ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკა, რაც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირებას გულისხმობს. მოკლედ, ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი აგებულია ფასების სტაბილურობის, მაღალი გამჭვირვალობის (აქტიური კომუნიკაციის) და მაღალი ანგარიშვალდებულების პრინციპების ირგვლივ. აღნიშნულის წარმატებულად განხორციელების შემთხვევაში კი, მონეტარული პოლიტიკა საუკეთესო წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში, რაც კი მას შეუძლია შეიტანოს (მხატრიშვილი, 2012: 10).

ინფლაციის თარგეთირება ორ მთავარ პირობას გულისხმობს. პირველ რიგში, ცენტრალურ ბანკებს შეუძლიათ მონეტარული პოლიტიკის გატარება თავისუფლების გარკვეული ხარისხით, რადგან არცერთი ცენტრალური ბანკი არაა ბოლომდე თავისუფალი სამთავრობო ზეგავლენებისგან, მაგრამ ის აუცილებლად თავისუფალი უნდა იყოს იმ ინსტრუმენტების შემუშავებაში, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მიზნობრივი ინფლაციის მიღწევა. მეორე პირობის მიხედვით, ცენტრალური ბანკის სურვილი და მიზანი არ უნდა იყოს ისეთ მაჩვენებლებზე ყურადღების გამახვილება, როგორცაა დასაქმების დონე, საშუალო ხელფასი, სიღარიბის დონე და ა.შ. თეორიულად ამ ორი პირობის შესრულების შედეგად ქვეყნებს შეუძლიათ ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკის გატარება და გარკვეული წინასწარი ნაბიჯების გადადგმა მისი შემდგომი სიმარტივისათვის:

- საჭიროა საზოგადოება ნათლად იქნეს გაცნობიერებული ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის უპირატესობებში სხვა მონეტარულ პოლიტიკებთან შედარებით;
- ინფლაციის საპროგნოზო მოდელის ან მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება, რომელიც მომავალში გამოიყენებს ისეთ რაოდენობრივ მაჩვენებლებს, რომლებიც ინფორმაციას იძლევიან ინფლაციასთან დაკავშირებით;
- მომავალზე ორიენტირებული ოპერატიული პროცედურის დაგეგმვა, რომლის საშუალებითაც მონეტარული პოლიტიკის მიზნები მიაღწევენ დასახულ მიზნებს.

ახალი ზელანდია, კანადა და დიდი ბრიტანეთი იყვნენ ის პირველი ქვეყნები, რომლებმაც 1990-იანი წლების დასაწყისში დაიწყეს ინფლაციის თარგეთირების გამოყენება. მოცემული ქვეყნების აშკარა წარმატების მიღწევისა და ფინანსური კრიზისების ფონზე ბევრ დამკვირვებელს გაუჩნდა ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი ამ ქვეყნებში შემოღებულ იქნა სასათბურე პირობებში და რომ ის ჯერ კიდევ არ იყო კარგად დატესტილი (Kahn, 2012: 123). განსაკუთრებით ინფლაციის თარგეთირების სისუსტეები გამოიკვეთა განვითარებად ქვეყნებთან დაკავშირებით, რადგან ასეთი ტიპის ქვეყნები ეკონომიკური შოკების მიმართ ბევრად მგრძობიარეები არიან განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. მთავარი კითხვა მდგომარეობს ცენტრალური ბანკთან დაკავშირებით ითვალისწინებს თუ არა ის საკმარისი რაოდენობის ეკონომიკურ პარამეტრებს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის შემუშავების პროცესში. ერთ-ერთი პირველი ეკონომისტი, რომელმაც ინფლაციის თარგეთირების წარუმატებლობაზე მიუთითა, ჯოზეფ სტიგლიცი იყო, 2008 წელს მან გამოაქვეყნა სტატია, სადაც ამტკიცებდა, ინფლაციის თარგეთირების შემუშავების ნედლი რეცეპტის სისუსტეზე, რომლის მიხედვითაც თუ ადგილი ჰქონდა ფასების ზრდას მიზნობრივ დონეზე მაღლა, მის კვალობაზე უნდა გაზრდილიყო საპროცენტო განაკვეთებიც. სტიგლიცის აზრით, ამგვარი მიდგომა ეფუძნებოდა ვიწრო ეკონომიკურ თეორიებს ან ემპირიულ მტკიცებულებებს, რადგან სინამდვილეში ამგვარი მიდგომით გათვალისწინებული არ იყო „ინფლაციის წარმოშობის წყარო“ და მასზე საუკეთესო პასუხი მხოლოდ საპროცენტო განაკვეთების ზრდით

შემოიფარგლებოდა. სტიგლიცი განსაკუთრებით ხაზს უსვამს განვითარებადი ქვეყნებისათვის ინფლაციის თარგეთირების გამოყენების შედეგად მოსალოდნელ საფრთხეებზე. ის ამტკიცებდა, რომ განვითარებადი ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ინფლაცია უმეტეს შემთხვევებში „იმპორტულ“ ხასიათს ატარებს, რადგან შიგა საპროცენტო განაკვეთების ზრდას საერთაშორისო მაღალ საკვებისა და საწვავის ფასებზე საპასუხოდ ინფლაციის შემცირებაზე ან მცირე ეფექტი აქვს ან საერთოდ ნეგატიური ეფექტი აქვს, რაც გამოიხატება ეკონომიკურ შეფერხებასა და უმუშევრობის დონის ზრდაში. სტიგლიცის აზრით, გლობალური ეკონომიკური ძალუფლების მქონე პირებმა აზრიანად გავლენა უნდა მოახდინონ საერთაშორისო ფასებზე, რათა განვითარებად ქვეყნებს შესაძლებლობა ჰქონდეთ მათი დაბალ ფასებში შექმნისა. სტატიის ბოლოს ის კიდევ ერთხელ აღნიშნავს, როგორც განვითარებადმა, ასევე განვითარებულმა ქვეყნებმა უნდა დაივიწყონ ინფლაციის თარგეთირების მექანიზმის შესახებ.

თავი 3. საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლი რეკოლუციამდელ საქართველოში

ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესი თავიდანვე უდიდეს სიძნელებთან იყო დაკავშირებული. საბჭოთა კავშირის გეგმიური ეკონომიკის ლიბერალური საბაზრო ეკონომიკით ჩანაცვლება უდიდესი გამოწვევა იყო პოსტკომუნისტური ქვეყნების მთავრობებისათვის საკუთარი ძალებით გადაეწყვიტათ აღნიშნული პრობლემა. სამწუხაროდ, ეკონომიკური მეცნიერება მოუმზადებელი აღმოჩნდა ტრანსფორმაციული პროცესის განმავლობაში შეეთავაზებინათ მართებული და ყოვლისმომცველი რეკომენდაციები გარდამავალ ეტაპზე მდგარი ქვეყნების მთავრობებისათვის. ასეთ ვითარებაში, საუკეთესო შემთხვევაში, რჩევის მიმცემი ეკონომისტის პროფესიული ინტუიციის გათვალისწინებით, ოპტიმალურთან დაახლოებულად ისეთი რჩევა შეიძლება ჩათვლილიყო, რომელიც ეკონომიკური თეორიის ზოგადი პრინციპებისა და სხვადასხვა ქვეყანაში საბაზრო ტიპის რეფორმების გამოცდილების ცოდნას ეფუძნებოდა (პაპავა, 2015: 66-67). ტრანსფორმაციული პროცესის სირთულიდან გამომდინარე კომუნისტური ინსტიტუტების საბაზრო ინსტიტუტებად გარდაქმნას მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე არ ჩაუვლია. საქართველოს საბჭოთა კავშირთან ღრმა ინტეგრაციის გამო და ქვეყნის სახელმწიფო ინსტიტუტების არ არსებობის გამო, საქართველოში ეს პროცესი განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოჩინდა.

დამოუკიდებლობის აღდგენის პირველი წლები როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით უმძიმესი იყო საქართველოს ისტორიაში. წინა პერიოდში მიღებულმა მცდარმა პოლიტიკურმა გადაწყვეტილებებმა ტრაგიკული ანარეკლი ჰპოვა ეკონომიკაში. სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს მნიშვნელოვნად ამწვავებდა შიგაპოლიტიკური დაპირისპირება და ეთნიკური კონფლიქტები, რომელთა შედაგადაც დაირღვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ქვეყნის სახელმწიფოებრივ არსებობას საფრთხე შეექმნა. ამ და სხვა მიზეზების გამო შეუძლებელი გახდა ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების თანმიმდევრული და სისტემური მართვა, მით უმეტეს, რომ ქვეყანას არ გააჩნდა არც საკუთარი

კონსტიტუცია და არც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზა. ეროვნული ვალუტისა და ფულად-საკრედიტო სისტემის უქონლობის გამო ქვეყანა ჰიპერინფლაციურ სპირალში აღმოჩნდა, რომელსაც თან მოჰყვა ენერგეტიკული კრიზისები.

ეკონომიკის მკვეთრმა დაქვეითებამ შესაბამისი გავლენა იქონია მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. 1990-1994 წლებში მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობა 3,5-ჯერ შემცირდა. ღრმა ცვლილებები განიცადა მოსახლეობის შემოსავლების სტრუქტურამ და ოდენობამ. ქვეყანაში სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის უმეტესი ნაწილი აღმოჩნდა.

ასეთ ვითარებაში აუცილებელი შეიქნა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან (საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი) მჭიდრო თანამშრომლობა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინება. საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან საქართველოს ურთიერთობა უკვე დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მალევე დაიწყო და ქვეყანა შიგა თუ გარე პრობლემების მიუხედავად ცდილობდა გამხდარიყო საერთაშორისოსა ზოგადოების ღირსეული წევრი. 1994 წლის თებერვალში შემუშავებულ იქნა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამა, რომელიც მოწონებულ იქნა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის, ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულებით. სწორედ ეს პროგრამა დაედო საფუძვლად საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის ურთიერთობის ახალ დონეზე წარმართვას. საქართველოს მთავრობა 1994 წლიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს სათანადოდ ითვალისწინებდა.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოში საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის შექმნას, საკუთრების ტრანსფორმაციას, ფასების ლიბერალიზაციას, საერთაშორისო ურთიერთობებში ჩამოყალიბებული პრინციპებისა და ნორმების დანერგვას. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მჭიდრო ურთიერთობით საქართველომ შეიძინა საიმედო საფინანსო გარანტი და კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა გამხდარიყო თანამედროვე მსოფლიოს ნაწილი. მიუხედავად მარტივად შესამჩნევი მიღწეული წარმატებებისა, საერთაშორისო საფინანსო

ინსტიტუტებმა არაერთი განსხვავებული ბუნებისა და მნიშვნელობის შეცდომა დაუშვეს საქართველოში. დამოუკიდებელ საქართველოში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გადაწყვეტილებებს სამთავრობო გუნდი ალტერნატივებს ვერ უძებნიდა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ნაცვლად მნიშვნელოვნად დააზარალა ან შეეძლო დაეზარალებინა საქართველოს ეკონომიკა.

საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის ოცდახუთწლიან პერიოდში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების როლის გააზრება საინტერესო და მნიშვნელოვანია მრავალი თვალსაზრისით, მათ შორის, მიმდინარე პროცესების შესაფასებლად. ამ მხრივ ეს პერიოდი, შესაძლებელია, პირობითად დაიყოს ორ ნაწილად: 1991 წლიდან 2003 წლამდე, როგორც რევოლუციამდელ და 2003 წლის, ანუ ვარდების რევოლუციის, შემდგომ. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ დაშვებული შეცდომების ობიექტური საფუძვლები სწორედ ამ ორი ეტაპის განმავლობაში განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

წინამდებარე ნაშრომი მოიცავს საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიღწევებისა და მნიშვნელოვანი შეცდომების დეტალურ ანალიზს რევოლუციამდელ და პოსტრევოლუციურ საქართველოში, რომელიც საშუალებას მოგვცემს უკეთ შევაფასოთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების როლი საქართველოს, როგორც ეკონომიკური ისე პოლიტიკური ტრანსფორმაციის მრავალწლიან პროცესში.

3.1 მიღწევები

საერთაშორისო სავალუტო ფონდი მოწოდებულია მსოფლიოში სავალუტო-საფინანსო სტაბილურობის დასამყარებლად. ის წევრი სახელმწიფოების მხრიდან მკაცრ საფინანსო დისციპლინასა და სტაბილური სავალუტო კურსების უზრუნველყოფას მოითხოვს. ეს უკანასკნელი კი ამ ქვეყნების მხრიდან ისეთი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებით მიიღწევა, რომელიც ფასების დონის სტაბილურობასა და საგადასახდელი ბალანსის წონასწორობას უზრუნველყოფს (პაპავა, 2000: 21). საერთაშორისო სავალუტო ფონდისძირითადი მიზანია დაეხმაროს ქვეყნებს მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევასა და შენარჩუნებაში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან აქტიური ურთიერთობების დამყარებამდე, საქართველოს ეკონომიკაში სიტუაცია სავალალო იყო. კერძოდ, 1993-1994 წლებში საქართველოს არ გააჩნდა პარლამენტის მიერ წინასწარ დამტკიცებული ბიუჯეტი, მთავრობა ვერ ახდენდა საგადასახადო შემოსავლების სათანადო მობილიზებას, თავიდანვე არასწორი ფორმით შემოღებულმა ქართულმა კუპონმა ჩამოაყალიბა სახელისუფლებო ნიჰილიზმი, ჰიპერინფლაციამ თვეში 50-70 პროცენტს მიაღწია. ამ კრიზისის დასაძლევად შექმნილი ე.წ. „ანტიკრიზისული პროგრამა“ საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის განახლებულ ურთიერთობებს დაედო საფუძვლად.

საქართველოში საფინანსო სისტემის შექმნა შეგვიძლია მივიჩნიოთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის ყველაზე წარმატებულ შედეგად. ანტიკრიზისული პროგრამა იყო ქვეყნის ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანის, სტაბილიზაციისა და შემობრუნების პროგრამა. ანტიკრიზისული პროგრამის რეალიზების მთავარი მიღწევები იყო:

- ინფლაციური პროცესების მართვა;
- ეროვნული ვალუტის შემოღება;
- პურის ფასების ლიბერალიზაცია, პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციის დემონოპოლიზაცია და ამ სფეროში კონკურენტული გარემოს შექმნა;
- ბიუჯეტის გაცოცხლება;
- ორსაფეხურიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება;
- სასოფლო-სამეურნეო მიწებზე კერძო საკუთრების დაკანონება, სახელმწიფოში დარჩენილ მიწებზე კერძო მოიჯარეთა ფენის ჩამოყალიბება;
- უცხოური ვალების რესტრუქტურალიზაცია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტების უშუალო მიმღები საქართველოს ეროვნული ბანკია და ისინი მისი რეზერვების გასაზრდელად გამოიყენება. პირველი ასეთი კრედიტი საქართველომ 1994 წლის ბოლოს მიიღო და იმ დღიდან მოყოლებული 2003 წლის დეკემბერში დასამთავრებელი პროგრამის ჩათვლით, ლარის სტაბილურობაზე 520 მლნ. აშშ დოლარამდე მოდის.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის შედეგად მომდევნო წლებში ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები და ინფლაციის ზომიერი დონე ჩამოყალიბდა, რამაც მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევას შეუწყო ხელი.

3.2 რუბლის ზონა

ეკონომიკური განვითარების თანამედროვე სახელმძღვანელოებში არცთუ იშვიათად შევხვდებით საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების კრიტიკასა და მათ მიერ ეროვნული მთავრობებისათვის მცდარი რეკომენდაციების განხილვას. რადიკალური არაკონსტრუქციული ჯგუფებიდან დაწყებული თვით საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებით დამთავრებული ეს გამოცდილება ყველას გააჩნია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, ჯოზეფ სტიგლიცის ნაშრომი „გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება“ (სტიგლიცი, 2012), რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შესწავლაში. ნაშრომში განხილულია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობა და მისი შედეგები განვითარებად ქვეყნებში. ჯოზეფ სტიგლიცი მოკლედ მიმოიხილავს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების თავდაპირველ მიზანსა და ამ მიზნის დროთა განმავლობაში ცვლილებებს. ნაშრომის დიდი ნაწილი ეთმობა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ნაკლოვანებათა განხილვას და მათ გამოსასწორებლად შესაბამისი რეკომენდაციებიცაა წარმოდგენილი. ავტორის აზრით, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მთავარი ნაკლი და მათი საქმიანობის რიგ შემთხვევებში არაეფექტიანობის მიზეზი არის ის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე სათანადოდ არ არის შესწავლილი რეგიონებისა და შესაბამისი განვითარებადი ქვეყნების ინტერესები. სტიგლიცი საფინანსო ორგანიზაციების მხრიდან გულგრილ დამოკიდებულებაზეც საუბრობს. მოჰყავს რა ფაქტები, ავტორი ასკვნის, რომ ეს ორგანიზაციები ხანდახან რეგიონში არსებულ სიტუაციას ხელოვნურად ამძიმებენ (აბაშიშვილი, 2013: 15-16).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობისადმი კრიტიკულ პოზიციასთან დიაპაზონი საკმაოდ ვრცელია და მის საფუძველზე შეიძლება, გაანალიზებულ იქნეს,

თუ კონკრეტულად რა შეცდომები იქნა მის მიერ საქართველოში დაშვებული (პაპავა, 2000: 75-76).

საბჭოთა იმპერიის დანგრევის შემდეგ ჩამოყალიბებული პოლიტიკური დღის წესრიგის ობიექტური შეუფასებლობისა და საქართველოს ეროვნული და კულტურული თავისებურებების გაუთვალისწინებლობის გამო საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას ურთიერთობის დასაწყისშივე არასწორი რეკომენდაცია მიაწოდა. მაშინ, როცა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ეროვნული ვალუტის შემოღების აუცილებლობის საკითხი საერთაშორისო სავალუტო ფონდთან პირველივე შეხვედრებისასვე დასვა, ფონდის რეკომენდაცია „რუბლის ზონაში“ დარჩენა და ეროვნული ვალუტის არ შემოღება იყო. სახელმწიფოსათვის საკუთარი ვალუტის უქონლობა კი ფულის მასის რეგულირებას შეუძლებელს ხდის, რომელიც მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან ყოფილისაბჭოთა კავშირის სავალუტო სივრცის შენარჩუნებას სამი ობიექტური საფუძველი შეიძლება ჰქონოდა:

- პოსტსაბჭოთა ქვეყნების მთავრობების შესაძლებლობებისადმი უნდობლობა გამოეშვათ საკუთარი ვალუტა;
- საკუთარი ხარჯების დაზოგვა, ანუ ვალუტის ერთ ემიტეტთან მუშაობა თორმეტის ნაცვლად;
- რუსული სახელმწიფოს ფაქტორი და მასთან კონფორანტაციაში შესვლისგან თავის არიდება.

საქართველოს მოსახლეობისათვის ეროვნული ვალუტის გარეშე ცხოვრება ნამდვილად მიუღებელი იყო, რადგან ასეთ შემთხვევაში ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე ფიქრიც კი რთულად წარმოსადგენია. ჭეშმარიტად თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრება მჭიდროდაა დამოკიდებული, როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე.

3.3 დამატებული ღირებულების გადასახადი

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საქართველოში დღის წესრიგში დადგა თვისებრივად ახალი ინსტიტუტების შექმნის საჭიროება. ეკონომიკური რეფორმის წარმატებით განხორციელება დიდად იყო დამოკიდებული საბაზრო ურთიერთობებისათვის ადეკვატური საგადასახადო კანონმდებლობისა და საგადასახადო სამსახურის დროულ ამოქმედებაზე. აუცილებელი იყო ისეთი ტიპის საგადასახადო კანონმდებლობის შექმნა, რომლის სიმარტივეც უზრუნველყოფდა ფინანსური რესურსების წარმოქმნას, განაწილებასა და გამოყენების პროცესში სახელმწიფოს, ფირმებსა და შინამეურნეობებს შორის ახალი ფინანსური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ცივილიზებული გზით წარმართვა-განვითარებას (ასათიანი, 2014:113). სამწუხაროდ, საგადასახადო სისტემის ფორმირების პროცესში გათვალისწინებული არ იქნა, რომ საქართველოს იმდროინდელ მოსახლეობასა და საწარმოებს საბაზრო სისტემის პირობებში გადასახადების გადახდის და მასზე პასუხისმგებლობის არავითარი კულტურა არ გააჩნდა. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, არც გადამხდელმა იცოდა რა და როგორ გადაეხადა და არც გადასახდის ამკრეფს ესმოდა, თუ რა და როგორ აეკრიფა (პაპავა, 2015: 81).

პოსტსაბჭოთა საქართველოს მოქალაქეებისთვის კარგად ნაცნობმა ბრუნვიდან გადასახადის დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის სისტემაზე მოკლე დროში გადასვლამ მკვეთრად გაართულა საგადასახადო სისტემა. ქვეყნის მთავრობამ ვერ უზრუნველყო საგადასახადო განათლების გავრცელება და საგადასახადო კულტურის ამაღლება. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნების უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება დამატებული ღირებულის გადასახადი და თვით ევროკავშირში გაწევრიანებისთვის ამ ტიპის გადასახადის არსებობაა ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, მისი დამკვიდრება საკმაოდ რთულ და ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ მან საჭიროდ არ ჩათვალა მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება დამატებული ღირებულების გადასახადის მექანიზმზე გადასასვლელად და საქართველოს მთავრობას არ მიაწოდა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელიც თავიდან აიცილებდა

საგადასახადო სისტემის გართულებას, საგადასახადო შემოსავლების დანაკარგს და კორუფციისათვის გარკვეულ ნიადაგსაც არ შეამზადებდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მორიგი მეთოდურად მცდარი რეკომენდაციით საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დარგის დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრა იქნა შემოღებული. ამ შეცდომის დაშვების წინაპირობა მდგომარეობდა იმაში, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა სწორად ვერ შეაფასა სიტუაცია საქართველოს სოფლის მეურნეობაში. სავალუტო ფონდის მიერ დამატებული ღირებულების გადასახადის შემოღება სოფლის მეურნეობის დარგში ეფუძნებოდა იმ მოსაზრებას, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების სოფლის მეურნეობები წარმოდგენილი იყო მსხვილი სახელმწიფო საწარმოებითა და კოოპერატივებით, რომელთა დაბეგვრის შედეგად შემოსავლების ადმინისტრირება მარტივად მოხდებოდა. მაშინ, როცა დამოუკიდებელი საქართველოს აგრარულ სექტორში მდგომარეობა მოკლე დროში რადიკალურად შეცვლილიყო და უკვე დაშლილი სახელმწიფო და კოლექტიური მსხვილი საწარმოები წვრილი მეურნეობების სახით იყო წარმოდგენილი (პაპავა, 2015: 85-86). აღსანიშნავია, ფონდის რეკომენდაციის გათვალისწინების ნაცვლად საქართველოს მთავრობის ინიციატივა მიწის გადასახადის შემოღებასთან დაკავშირებით, რომელიც ადმინისტრირების თვალსაზრისით უფრო მარტივი და გამჭვირვალე იყო, თუმცა ის მხოლოდ სოფლის მეურნეობის სფეროს მოიცავდა და ეკონომიკის ყველა დარგზე არ ვრცელდებოდა. ზემოაღნიშნული ინიციატივა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების მიერ არ იქნა გაზიარებული.

3.4. საგადასახადო განაკვეთები

ეკონომიკური მეცნიერების ისტორიის განმავლობაში გადასახადების თემა ყოველთვის აქტუალური განხილვის საგანს წარმოადგენდა მისი ეკონომიკაში განსაკუთრებული როლის გამო. ნეოკლასიკური თეორიის ძირითადი იდეა კორპორაციების საგადასახადო შეღავათების დაწესებასა და მოსახლეობისათვის გადასახადების შემცირებაში მდგომარეობს, რის შედეგადაც სამომხმარებლო მოთხოვნა იზრდება. ნეოკლასიკოსების აზრით, მაღალი გადასახადები აფერხებს

სამეწარმეო ინიციატივასა და ამუხრუჭებს საინვესტიციო პოლიტიკას. მაშინ როდესაც კლასიკური თეორია გადასახადებს მიიჩნევს წმინდა ფისკალურ იარაღად, კეინზიანური თეორია ინვესტიციების მოზიდვაში განსაკუთრებულ როლს გადასახადებს ანიჭებს. კეინზიანელების აზრით, გადასახადები გამოყენებულ უნდა იქნეს ინფლაციისა და უმუშევრობის წინააღმდეგ, შეასრულოს „ჩაშენებული სტაბილიზატორის როლი“ დაამითხელი შეუწყოს ეკონომიკის მდგრად განვითარებას (ასათიანი, 2014: 134).

1995 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში ეკონომიკური რეფორმების „სოციალური სტიმულირების“ მეთოდი შემუშავდა, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს „საგადასახადო თერაპიის“ მიდგომა წარმოადგენდა. ამ უკანასკნელის თანახმად, მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთი სტიმული საგადასახადო განაკვეთების შემცირების გზით საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება უნდა გამხდარიყო. „საგადასახადო თერაპიის“ მეთოდოლოგიურ საფუძველს კი ლაფერ-ქეინზიანური სინთეზი წარმოადგენდა, რომელიც საგადასახადო განაკვეთების შემცირების გზით მიზნად ისახავდა მიწოდებისა და მოთხოვნის ერთდროულ ზრდას და წარმოების განვითარების შესაძლებლობას (პაპავა, 2015:89).

სამწუხაროდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაცია გადასახადების განაკვეთების შემცირების საპირისპირო იყო. მათ არ გაითვალისწინეს, რომ მაღალი გადასახადების დატოვება ხელს შეუწყობდა საქართველოში მაშინდელი კრიმინოგენული სიტუაციისა და კორუფციული გარემოს შენარჩუნებას. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ზოგიერთი წამყვანი ექსპერტის მიერ გააზრებულია დაბალი საგადასახადო განაკვეთის მიზანშეწონილობა, საქართველოში ჩამოსული ფონდის მისიის წევრების ძირითადი არგუმენტი მდგომარეობდა იმაში, რომ არ არსებობდა გადასახადების განაკვეთების შემცირებით საბიუჯეტო შემოსავლის დადასტურება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა თავისი შეცდომა ნაწილობრივ გამოასწორა, როდესაც 1996 წელს მხარი დაუჭირა რამდენიმე სახეობაზე გადასახადების შემცირებას. მომდევნო წლის შედეგებმა აჩვენა „საგადასახადო თერაპიის“

წარმატებული ხასიათი და ამ პროგრამის თავიდანვე მხარდაჭერის შემთხვევაში მთავრობა შეძლებდა უფრო მეტი საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციას და ქვეყანაში საგადასახადო კულტურაც უფრო განვითარდებოდა.

ზემოთ მოყვანილი ძირითადი შეცდომების გარდა, საერთაშორისო სავალუტო ფონდს არა ერთი განსხვავებული ხასიათის შეცდომა აქვს დაშვებული. მაგალითად, ერთ-ერთმა კურიოზული სახეც კი მიიღო, როდესაც ფონდის მიერ შემუშავებულ მემორანდუმში მიღწევად საქართველოში წერა-კითხვის გავრცელება ჩაითვალა, მაშინ, როცა ეს პრობლემა დღის წესრიგში ას წელზე მეტ ხანს არ დამდგარა.

მიუხედავად საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაშვებული შეცდომებისა, მისი საქმიანობა საქართველოში საბოლოო ჯამში დადებითად უნდა შეფასდეს. აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდს ურთიერთობა მოუწია საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე რთულ პერიოდში, როცა ქვეყანა მწვავედ განიცდიდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს, ასევე კვალიფიკაციური კადრების არსებობას სახელმწიფო და კერძო სექტორში. მათ მთავარ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს საქართველოს ურთულეს პერიოდში ჯანსაღი საფინანსო-ეკონომიკური სისტემის შექმნის ხელშეწყობა, რომელმაც მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა საქართველოში ეკონომიკის განვითარებასა და სტაბილურობას.

საქართველოს მიერ არჩეული პროდასავლური კურსი მეტად რთულ და ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს და მისი მთავარი შედეგი ევროპულ ფასეულობათა სისტემის ეტაპობრივი დამკვიდრებაა. ეკონომიკური და პოლიტიკური დაახლოება განვითარებულ სამყაროსთან და მსოფლიო ავტორიტეტულ საფინანსო-ეკონომიკურ ინსტიტუტთან თანამშრომლობა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცების გარანტია.

თავი 4. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის შეცდომები პოსტრევიზიული საქართველოში

ახალ მთავრობას მემკვიდრეობით მიღებული მრავალი მწვავე სოციალური და ეკონომიკური ხასიათის პრობლემა უნდა გადაეჭრა. მათგან გამოსარჩევია:

- ენერგეტიკული კრიზისი - განსაკუთრებით ზამთარში, გათბობისა და ელექტროენერჯის დეფიციტის გამო, ხალხი ფიზიკური გადარჩენის საფრთხის წინაშე დადგა;
- საბიუჯეტო კრიზისი - წინა ხელისუფლებას დაგროვილი ჰქონდა უზარმაზარი დავალიანება პენსიებისა და საჯარო სექტორში გაუცემელი ხელფასების სახით, რაც განპირობებული იყო კორუფციით და ხელისუფლების უუნარობით, დაემყარებინა ფისკალური დისციპლინა;
- უმუშევრობის მაღალი დონე და სიღარიბე (ციხელაშვილი, შერგელაშვილი, თოქმაზიშვილი, 2012: 23).

„ვარდების რევილუციის“ შემდეგ მოსულმა რეფორმატორულმა ჯგუფმა დაიწყო რადიკალური ცვლილებები სოციალურ-ინსტიტუციურ და ეკონომიკურ სფეროებში. პრაქტიკულად, საქართველოში დაიწყო ახალი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი. მათ აღმოაჩნდათ ის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ნება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა სტაგნაციაში ჩაფლული ქვეყნის ეკონომიკა ისევ რეფორმატორულ რელსებზე დაბრუნებულიყო.

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთანაც პროგრამები მოკლე დროში განახლდა, რომლებსაც წინა ხელისუფლების უნდობლობისა და უიმედობის გამო 2003 წლის ზაფხულში შეჩებული ჰქონდათ თავიანთი პროგრამები. ამის მიზეზი კი ის მაკროეკონომიკური არასტაბილურობა იყო, რომელიც იმდროინდელ საქართველოში იყო ჩამოყალიბებული.

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან პროგრამის განახლებას მიზეზად დაედო ახალი მთავრობის მიერ საფინანსო წესრიგის დამყარება. მოკლე დროში საგადასახადო შემოსავლები ორჯერ და მეტად იყო გაზრდილი და ეს პროცესი უწყეტად მომდევნო წლებშიც გრძელდებოდა. „ვარდების რევილუციის“

გზით მოსული მთავრობის სიმპათიებს დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში იწვევდა დემოკრატიული ფასეულობების იმპორტი საქართველოში. პოსტსაბჭოთა სივრცეში ასეთი შთამბეჭდავი რეფორმების გამო, ახალმა მთავრობამ მოკლე დროში მოიპოვა დასავლეთის განვითარებული ქვეყნების პოლიტიკური წარმომადგენლობის მხარდაჭერა.

აქედან გამომდინარე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაშვებული შეცდომების ობიექტური საფუძვლები განსხვავებული იყო 1991-2003 წლებში და 2003 წლის შემდგომ პერიოდში. ხშირ შემთხვევაში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები რეფორმების მანტიის ქვეშ გატარებულ ფსევდორეფორმებს მხოლოდ „ვარდისფერი სათვალთ უყურებდნენ“ და შესაბამის რეაგირებას არ ახდენდნენ მთავრობის მიერ დაშვებულ მძიმე შეცდომებზე. ამის მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ „ვარდისფერი მთავრობის“ რეფორმატორული „იმიჯი“, რომლის ზიანის მიყენებასაც ერიდებოდნენ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები გარკვეული პოლიტიკური სიმპათიების გამო (პაპავა, 2015: 132).

ამ თავში განხილულია პოსტრევულიური საქართველოს სათავეში მოსულ რეფორმატორთა მიერ დაშვებული მნიშვნელოვანი შეცდომები, რომელზე შესაბამისი რეაგირების მოხდენა ევალებოდათ საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკს, თუმცა მათგან ამ შეცდომებს არანაირი ქმედითი რეაქცია არ მოყვებოდა ხოლმე, რაც მნიშვნელოვნად აზარალებდა ეკონომიკის განვითარებისა და დემოკრატიზაციის პროცესს.

4.1 კორუფციული სქემა

უმთავრესი ამოცანა, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ დაისახა, იყო ფინანსური დისციპლინის დამყარება, კანონიერი ეკონომიკური თამაშის წესების აღდგენა და ჩრდილოვანი სტრუქტურების მოსპობა. შესაბამისი მიზნით განხორციელდა წარსულში რამდენიმე მაღალჩინოსნის დაპატიმრება, მათი ქონების ჩამორთმევა, გადაუხდელი გადასახადების ამოღება. ამ გზით ბიუჯეტში რეკლუციის შემდგომი პირველი სამი თვის განმავლობაში შეტანილ იქნა რამოდენიმე ათეული მილიონი აშშ დოლარი. მაგრამ რა თანხა მოგროვდა არასაბიუჯეტო ანგარიშებზე, რომლებიც

ძალოვანი უწყებების დაქვემდებარებაში იყო, ეს საზოგადოებისთვის უცნობია, რადგან ეს ანგარიშები სრულიად გაუმჭვირვალე იყო.

გაუმჭვირვალე ანგარიშები კი ყოველთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის ახალი კორუფციული სქემების აღმოცენებისათვის. აღნიშნულ პრობლემაზე რეაგირება მსოფლიო ბანკს აკისრია, რომელსაც მის წევრ ქვეყნებში ანტიკორუფციული პოლიტიკის განხორციელებაში დიდი წვლილი შეაქვს. მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს კი დიდად თავი არ შეუწუხებიათ საქართველოს მთავრობისთვის მოეთხოვათ არასაბიუჯეტო ანგარიშების დახურვა.

4.2 საკუთრების უფლებების ხელყოფა

საკუთრების უფლება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა რიცხვს განეკუთვნება, რომლის გარეშეც შეუძლებელია დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა. საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. იმავდროულად, კერძო საკუთრება, როგორც ინსტიტუტი, საბაზრო ეკონომიკის ბირთვს წარმოადგენს. შესაბამისად, ის არის არა მხოლოდ მესაკუთრეებს შორის ეკონომიკური კონკურენციის, არამედ, ასევე, დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი.

მაშინ როცა, ხელისუფლებამ ყოფილი კორუმპირებული ჩინოვნიკებისაგან თანხების ამოღება დაასრულა, ჯერი ბიზნესმენებზე მიდგა საკუთარი ფინანსები შეეტანათ ზემოთ აღნიშნულ არასაბიუჯეტო ანგარიშებზე.

მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები რატომღაც არასდროს ინტერესდებოდნენ თუ რატომ „უჩნდებოდათ სურვილი“ ქართველ ბიზნესმენებს ქონება, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც სახელმწიფოსათვის ერქუქებინათდა რატომ ჰქონდათ საქართველოზე უკეთესი პოზიციები საკუთრების უფლებების დაცვის რეიტინგში საქართველოზე ბევრად დაბალგანვითარებულ სახელმწიფოებს.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაშვებული ეს შეცდომა შეგვიძლია მივიჩნიოთ მათ მიერ დაშვებულ შეცდომათაგან უმძიმესად, რადგან იგი ეკონომიკურის გარდა ბევრ სხვა მნიშვნელოვან სფეროსაც აყენებდა ზიანს.

4.3 „ვარდისფერი“ პრივატიზაცია

2004 წელს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზების ახალი ტალღა დაიწყო, რომელიც წინასწარი განცხადებით მხოლოდ 18 თვეს უნდა გაგრძელებულიყო და წინა ეტაპებისაგან განსხვავებით, „მაქსიმალურად ობიექტური და ტრანსპარენტული უნდა ყოფილიყო“. თუმცა რეალობა განსხვავებული აღმოჩნდა (გუჯარაიძე, 2014: 4). მთავრობამ პრივატიზაციის პროცესის გამჭვირვალობისათვის შესაბამისი ვებ-გვერდიც დაარსა, რომელიც ინფორმაციის ამომწურავი წყარო უნდა ყოფილიყო, მაგრამ თავის საწყის მიზანს თავი ჯეროვნად ვერ გაართვა. მთავრობის ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ქვაკუთხედად დაჩქარებული პრივატიზაცია იქცა. პრივატიზაციის პროცესში არ არსებობდა რაიმე ტიპის შეზღუდვები ე.წ. „სტრატეგიული“ ობიექტების გასხვისებასთან მიმართებაში. ასევე, არ იზღუდებოდა ოფშორული კომპანიების და სხვა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანიებისთვის საკუთრების გადაცემა. პრივატიზაციის პროცესში გატარებულმა პოლიტიკამ, რომელიც არასაწარმოო ობიექტებსაც შეეხებოდა (მაგალითად, შენობები ქალაქის ცენტრალურ უბნებში) ხელი შეუწყო უძრავი ქონების ფასების მნიშვნელოვან ზრდას (ციხელაშვილი, შერგელაშვილი, თოქმაზიშვილი, 2012: 44).

უკანონოდ პრივატიზებული სახელმწიფო ქონების ჩამონათვალთა სია საკმაოდ გრძელია და არც მათი რეალური მფლობელების შესახებაა ინფორმაციის მოძიება მარტივი. საპრივატიზაციო ობიექტების ზრდის კვალობაზე საქართველოს ბიზნეს სივრცეში ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული კომპანიების რიცხვიც იმატებდა. ხშირად ისმოდა მოსაზრება მაშინდელი მთავრობის მაღალჩინოსნების საკუთრებაში მყოფი კომპანიების მიერ საპრივატიზაციო ობიექტის გაცხადებულ თანხაზე ნაკლებ ფასად შექენაზე. ასევე რთულ პროცესს წარმოადგენდამსხვილი

საწარმოო ობიექტების საპრივატიზებო ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესრულების ანგარიშის მოპოვება.

4.4 მასობრივი დერეგულაცია

დერეგულაცია ბიზნესზე, მრეწველობასა და სხვა პროფესიულ საქმიანობაზე შეზღუდვების მოხსნის პროცესია. რეფორმატორული გუნდის ამ გზის არჩევა გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო, რამდენადაც ამ გუნდის ეკონომიკური გადაწყვეტილების მიმღები თანამდებობის პირები თავს „ლიბერტარიანელებად“ მიიჩნევდნენ და მათ ეკონომიკურ დღის წესრიგში დერეგულაციას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომი მთავრობის პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად იქცა სხვადასხვა ტიპის რეგულირების სისტემების გაუქმება ან მინიმიზება. ასეთი პოლიტიკა ეფუძნებოდა სამ არგუმენტს:

- ეს სისტემები არაეფექტიანია და მაინც ვერ ასრულებს თავის ფუნქციებს;
- მარეგულირებელ ინსტიტუტებში მაღალია კორუფციის დონე და ანტიკორუფციული პოლიტიკის ფარგლებში ასეთი ინსტიტუტები მიუღებელია;
- ეკონომიკის ლიბერალიზაცია გულისხმობს რეგულირების სფეროების და ფორმების შეკვეცას, მათ შორის, ზოგიერთი ტიპის რეგულაციაზე უარის თქმას.

სწორედ აღნიშნული არგუმენტაციის ფარგლებში გაუქმდა ანტიმონოპოლიური სამსახური და მის ნაცვლად ამოქმედდა „თავისუფალი კონკურენციის სააგენტო“ მკვეთრად შეზღუდული ფუნქციებით, მთავრობის იმ პოზიციის ფონზე, რომ ანტიმონოპოლიური რეგულირება სახელმწიფოს მხრიდან საერთოდ არ წარმოადგენს აუცილებლობას და ეს ბაზარს უნდა ჰქონდეს მინდობილი (ციხელაშვილი, შერგელაშვილი, თოქმაზიშვილი, 2012: 45).

ცხადია, რომ სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ რეგულირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკის განვითარებისათვის. საბაზრო ეკონომიკის ჯანსაღი ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს შიგა და გარე კონკურენცია.

ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევასაც, როდესაც ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმების შედეგად მარილის, შაქრის და სხვა საქონლის ბაზრებზე წარმოშობილი მონოპოლიების რეგულაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა, რაც ინსტიტუციათა კომპეტენციების ერთმანეთში მკაცრი შეუთავსებლობაა.

ამასთან, გაუქმდა სურსათის უვნებლობის კონტროლის სისტემები და შესაბამისი ინსტიტუციები, ასევე ის სტრუქტურები, რომლებიც ახორციელებდნენ ტექნიკურ რეგულირებას, სტანდარტიზაციას, ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემას. საკუთრივ ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობა 84 პროცენტით შემცირდა. სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციებისა და როლის შესუსტებას მიზეზად სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელის შეწყობა დაედო (ციხელაშვილი, შერგელაშვილი, თოქმაზიშვილი, 2012: 45).

პოსტრევოლუციურ საქართველოში ზემოთ ჩამოთვლილი შეცდომების გარდა რევოლუციის გზით მოსულმა ხელისუფლებამ არაერთი მავნებლური რეფორმა გაატარა, რომელმაც მნიშვნელოვნად დააზარალა ქვეყნის ეკონომიკა და დემოკრატიულ ფასეულობებსაც საფრთხე შეუქმნა. ადგილი ჰქონდა სტატისტიკური დეპარტამენტისა და ეროვნული ბანკის დაკნინების მცდელობებს, პოპულისტური პოლიტიკური გადაწყვეტილებებით ინფლაციური პროცესების სტიმულირებას, საგადასახადო ცვლილებით მიღებულ კურიოზულ შემთხვევებს, არამიზნობრივად საგარეო ვალის მკვეთრად გაზრდას (პაპავა, 2015: 139-149).

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შეცდომები პოსტრევოლუციურ საქართველოში ძირითადად განსაზღვრა საქართველოს მთავრობის გატარებულ რეფორმებზე მხოლოდ ნათელ ფერებში დანახვამ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკიშირ შემთხვევაში შეგნებულად არ რეაგირებდა მთავრობის მიერ დაშვებულ შეცდომებზე, რათა არ გაფერმკთალებულიყო რეფორმატორული გუნდის დასავლური ღირებულებების დანერგვის პროცესი პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, რომელზედაც დასავლეთის პოლიტიკურ წარმომადგენლობას დიდი მხარდაჭერა ჰქონდა გამოცხადებული.

დასკვნა

საერთაშორისო სავალუტო ფონდი ზედამხედველობას უწევს საერთაშორისო მონეტარულ სისტემას და აკონტროლებს მისი წევრი 189 ქვეყნის ეკონომიკურ და ფინანსურ პოლიტიკას. ამ პროცესს ის წარმართავს, როგორც გლობალურ, ისე ინდივიდუალურ დონეზე, მიანიშნებს შესაძლო რისკების თაობაზე და იძლევა რჩევებს საჭირო პოლიტიკის გატარებისათვის. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მრავალწლიანი ფუნქციონირების განმავლობაში, მათი სამოქმედო სტრატეგიები არაერთხელ გადაიხედა შესაბამისი ეკონომიკური კონიუნქტურისა და ეკონომიკური მიმდინარეობების შესაბამისად და მათი ცვლილება მოსალოდნელია მომავალშიც. 2016 წლის ივნისში საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვარტალურ ჟურნალში „ფინანსები და განვითარება“, რომელიც აქვეყნებს ანალიზებს საერთაშორისო საფინანსო სისტემის, მონეტარული პოლიტიკის, ეკონომიკური განვითარებისა და სხვა თანამედროვე ეკონომიკური გამოწვევების შესახებ, გაჩნდა სტატია ნეოლიბერალიზმის დასასრულის შესახებ. ნეოლიბერალიზმის მკაცრი ეკონომიისა (Austerity) და კაპიტალის გადაადგილების შეზღუდვების მოხსნის ანალიზის მიხედვით სავალუტო ფონდის მკვლევრები „სამ დამამწუხრებელ დასკვნამდე“ მივიდნენ:

1. ნეოლიბერალური პოლიტიკის შედეგად მცირე ზრდა მიიღწევა;
2. ნეოლიბერალური პოლიტიკები ზრდიან უთანასწორობას, რომელიც მომავალში ეკონომიკას არჩევანის წინაშე აყენებს ეკონომიკურ ზრდასა და უთანასწორობის შორის;
3. გაზრდილი უთანასწორობა თავის მხრივ ზიანს აყენებს მდგრად განვითარებასა და ზრდას.

მუდმივი ცვლილებების პერიოდში სასიცოცხლოდ აუცილებელია საქართველოს მთავრობას გააჩნდეს მკვეთრად განსაზღვრული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხედვები და სტრატეგია, რათა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა გახდეს უფრო წარმატებული და ეფექტიანი. ასევე გადასახედია ინფლაციის თარგეთირების მექანიზმი, რომელსაც საქართველოს

ეროვნული ბანკი 2009 წლის შემდეგ იყენებს, რადგან საქართველო წარმოადგენს იმპორტზე მკვეთრად დამოკიდებულ ქვეყანას. ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის, ჯოზეფ სტიგლიცის აზრით, კი საქართველოსნაირი იმპორტდამოკიდებული ქვეყნებისათვის ასეთი მექანიზმის ფუნქციონირება საუკეთესო შედეგების მომტანი არაა.

როგორც ნაშრომში გამოჩნდა შეცდომებისგან არც წამყვანი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები არიან დაზღვეულნი, ამიტომ საჭიროა ეროვნულმა ბანკმა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მოლაპარაკებები აწარმოოს საქართველოს ეკონომიკური რეალობის შესაბამისად.

დღეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან საქართველოს ურთიერთობა, პირველ რიგში, არის არჩევანი ცივილიზებული სამყაროს წევრობისაკენ, ადეკვატური და რეალობის შესაბამისი საფინანსო-ეკონომიკური მოწყობა კი ამ ურთულესი და ხანგრძლივი გზის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს ალტერნატივა არ გააჩნიათ. მთლიანობაში, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების როლი საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში იყო და იქნება უფრო წარმატებული, თუ საქართველოს სახელმწიფო მოხელეები შეძლებენ პრინციპულობის გამოჩენას და ბრმად არ მიყვებიან ამ ინსტიტუტთა რეკომენდაციებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბაშიშვილი გ., 2013. *საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გამოწვევები განვითარებადი ქვეყნების მთავრობებთან და ბიზნესთან მიმართებაში*. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ასათიანი რ., 2014. *საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი*. თბილისი, „სიახლე“.

ბაქრაძე გ., 2014. *2007-2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი: მიზეზები და ინტერპრეტაციები*. ეკონომიკა და საბანკო საქმე, ტომი 2, N2.

გუჯარაძე ნ., 2014. *პრივატიზაციის ფარული მხარეები*. თბილისი, მწვანე ალტერნატივა. http://greenalt.org/wp-content/uploads/2014/03/privatizaciis_faruli_mxareebi.pdf.

მხატრიშვილი შ., 2012. *ინფლაციის თარგეთირება: ძირითადი პრინციპი, მახასიათებლები, წინაპირობები და ემპირიული შეფასებები*. https://www.nbg.gov.ge/bankjournal/uploads/journal/2016_2/I_nawili.pdf.

პაპავა ვ., 2015. *საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები*. თბილისი, „ინტელექტი“.

პაპავა ვ., 2000. *საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები*. თბილისი, „იმპერიალი“.

სტიგლიცი ჯ., 2012. *გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება*. თბილისი, „რადამი“.

ჟვანია ნ., 2006. *საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია*. თბილისი, „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი“.

ციხელაშვილი ქ., შერგელაშვილი თ., თოქმაზიშვილი მ., 2012. *საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი*. თბილისი, ლიბერალური აკადემია თბილისი, [http://www.ei-lat.ge/images/stories/The Economic Transformation of Georgia - 20 Years of Independence Interim Report geo.pdf](http://www.ei-lat.ge/images/stories/The_Economic_Transformation_of_Georgia_-_20_Years_of_Independence_Interim_Report_geo.pdf).

Allen R., 2016. *Financial Globalisation Since the 1970s*. <https://www.elgaronline.com/view/9781785361104/chapter01.xhtml?pdfVersion=true>.

Arestis P., 2005. *Financial Liberalisation And The Relationship Between Finance And Growth*. https://www.landecon.cam.ac.uk/research/real-estate-and-urban-analysis/centres/ccepp/copy_of_ccepp-publications/wp05-05.pdf.

Asian Development Bank, 2001. *Key Indicators of Developing Asian and Pacific Countries 2001*. <https://www.adb.org/publications/key-indicators-developing-asian-and-pacific-countries-2001>.

Asian Development Bank., 2003. *Key Indicators of Developing Asian and Pacific Countries 2003*. <https://www.adb.org/publications/key-indicators-developing-asian-and-pacific-countries-2003>.

Asia-Pacific Economic Cooperation Study Centre, the Hong Kong Institute of Economics and Business Strategy, The University of Hong Kong, 2000. *Asian Financial Crisis: Causes and Development*. [http://wangyujian.hku.hk/papers/monographs/04_Asian_Financial_Crisis\(English\).pdf](http://wangyujian.hku.hk/papers/monographs/04_Asian_Financial_Crisis(English).pdf).

Barbalau A., 2012. *Inflation targeting: dead or alive?* „Romanian Distribution Committee Magazine”, Vol. 3, Issue 3, 41-49.

Bernanke B. 2004. *Money, gold and the Great Depression*. <https://www.bis.org/review/r040305e.pdf>.

Birdsall N., De La Torre A., Caicedo F., *The Washington Consensus: Assessing a Damaged Brand*. <https://www.files.ethz.ch/isn/118196/wp213.pdf>.

Bordo M., Shwartz A., 2001. *From the Exchange Stabilization Fund to the International Monetary Fund*. <https://www.nber.org/papers/w8100.pdf>.

Bordo M., *The operation and demise of the Bretton Woods system: 1958 to 1971*. <https://voxeu.org/article/operation-and-demise-bretton-woods-system>.

Boughton M., 2004. *The IMF and the Force of History: Ten Events and Ten Ideas That Have Shaped the Institution*.

<https://www.imf.org/en/Publications/WP/Issues/2016/12/30/The-IMF-and-the-force-of-History-Ten-Events-and-Ten-Ideas-that-Have-Shaped-the-Institution-17199>.

Boughton M., 2013. *Why does Benn Steil's history of Bretton Woods distort the ideas of Harry Dexter White?* <https://www.ineteconomics.org/perspectives/blog/harry-dexter-white-and-the-history-of-bretton-woods>.

Calwell J., & O'Driscoll, T. G., 2007, *What Caused the Great Depression?* „National Council for the Social Studies“.

Dymond L., 2015. *A History of Economic Thought*. „Lulu publishing services“.

Eichengreen B., 1992. *The origins and nature of the Great Slump revisited*. <http://bev.berkeley.edu/ipe/readings/The%20origins%20and%20nature%20of%20the%20Great%20Slump%20revisited.pdf>.

Eichengreen B., 2001. *The Political Economy of the Smoot-Hawley Tariff*. <https://www.nber.org/papers/w2001.pdf>.

Eichengreen B., James H., *Monetary and Financial Reform in Two Eras of Globalization*. <https://www.nber.org/chapters/c9597.pdf>.

Eichengreen B., O'Rourke K., 2010. *What do the new data tell us?* <https://voxeu.org/article/tale-two-depressions-what-do-new-data-tell-us-february-2010-update>.

Fischer S., 1998. *The IMF and the Asian Crisis*. <https://www.imf.org/en/News/Articles/2015/09/28/04/53/sp032098>.

Furusawa M., 2017. *What We Have Seen and Learned 20 Years After the Asian Financial Crisis*. <https://blogs.imf.org/2017/07/13/what-we-have-seen-and-learned-20-years-after-the-asian-financial-crisis/#more-20554>.

Gregorio J., Eichengreen B., Ito T., Wyplosz C., 1999. *An Independent and Accountable IMF*. https://cepr.org/sites/default/files/geneva_reports/GenevaP130.pdf.

Gregorio J., Eichengreen B., Ito T., Wyplosz C., 1999. *An Independent and Accountable IMF*. https://cepr.org/sites/default/files/geneva_reports/GenevaP130.pdf.

Helleiner E., 2005. *Global Political Economy*. Oxford, "Oxford University Press".

Ho V., 2005: *Applications of the Polak and Keynesian Models to Macao's Economy*. <http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.570.9861&rep=rep1&type=pdf>.

Hong Kong Institute of Economics and Business Strategy, 2000. *Asia-Pacific Economic Cooperation Study Centre*
The University of Hong Kong.
[http://wangyujian.hku.hk/papers/monographs/04_Asian_Financial_Crisis\(English\).pdf](http://wangyujian.hku.hk/papers/monographs/04_Asian_Financial_Crisis(English).pdf).

Hurt S., 2015. *Washington Consensus*. <https://www.britannica.com/topic/Washington-consensus>.

Ikenberry J., 1993. *The Political Origins of Breton Woods*. <https://www.nber.org/chapters/c6869.pdf>.

IMF Staff, 2000. *Recovery from the Asian Crisis and the Role of the IMF*. <https://www.imf.org/external/np/exr/ib/2000/062300.htm#VII>.

IMF, 2016: *Articles of Agreement of the International Monetary Fund*. <https://www.imf.org/external/pubs/ft/aa/pdf/aa.pdf>.

International Monetary Fund, 2016. *Articles of Agreement of the International Monetary Fund*. <https://www.imf.org/external/pubs/ft/aa/pdf/aa.pdf>.

Irwin D., 1996. *The Smoot-Hawley Tariff: A Quantitative Assessment*. <https://www.nber.org/papers/w5509.pdf>.

Irwin D., 2010. *Did France Cause the Great Depression?* <https://www.nber.org/papers/w16350.pdf>.

Jahan S., 2012. *Inflation Targeting: Holding the Line*. <https://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/basics/target.htm>.

Kahn B., 2012. *Challenges of inflation targeting for emerging-market economies: The South African case*.
<https://www.resbank.co.za/Lists/News%20and%20Publications/Attachments/51/Brian+Kahn.pdf>.

Keynes J., 1923. *A Tract on Monetary Reform*. London,
<https://delong.typepad.com/keynes-1923-a-tract-on-monetary-reform.pdf>.

Keynes J., 1936. *The General Theory of Employment, Interest, and Money*. „Macmillan Cambridge University Press”.

Keynes J. M., 1920. *The Economic Consequences of the Peace*.
<https://archive.org/details/economicconsequ00keyn>.

Lopez A., Mitchener J. K., 2018. *Uncertainty and Hyperinflation: European Inflation Dynamics after World War I*. <https://www.nber.org/papers/w24624>.

Macmillan M., 2001. *Paris 1919: Six Months That Changed the World*. „Random House Trade Paperbacks”.

MakwanaR., *Neoliberalism and Economic Globalization*.
<https://web.archive.org/web/20120627035959/http://www.stwr.org/globalization/neoliberalism-and-economic-globalization.html>.

McElvaine R., 1984. *The Great Depression: America 1929-1941*.
[http://kadamaee.ir/payesh/books-tank/14/McElvaine%20-%20The%20Great%20Depression;%20America,%201929-1941%20\(2009\).pdf](http://kadamaee.ir/payesh/books-tank/14/McElvaine%20-%20The%20Great%20Depression;%20America,%201929-1941%20(2009).pdf).

Nowak W., 2012. *Development of the Polak model*.
https://www.academia.edu/26827692/DEVELOPMENT_OF_THE_POLAK_MODEL_WIOLE_TTA_NOWAK.

Pettinger T., *Asian Financial Crisis 1997*.
<https://www.economicshelp.org/blog/glossary/financial-crisis-asia-1997/>.

Radelet S., Sachs J., 1998. *The Onset of the East Asian Financial Crisis*. NBER Working papers 6680. <https://www.nber.org/papers/w6680.pdf>.

Sakakibara E., 1996. *From the Washington Consensus to the New International Financial Architecture*. <https://www.rba.gov.au/publications/confs/1999/pdf/sakakibara.pdf>.

Stiglitz J., 2008. *The Failure of Inflation Targeting*. „Project syndicate”.

Stiglitz J., 2010. *The Stiglitz Report: Reforming the International Monetary and Financial Systems in the Wake of the Global Crisis*. <http://www.library.fa.ru/files/Stiglitz-Report.pdf>.

Tamny J., 2013. *Keynes, White, And The Battle Of Bretton Woods*. <https://www.forbes.com/sites/johntamny/2013/03/31/keynes-white-and-the-battle-of-bretton-woods/#80afb2f5e58d>.

Tiwari R., 2003. *POST-CRISIS EXCHANGE RATE REGIMES IN SOUTHEAST ASIA: AN EMPIRICAL SURVEY OF DE-FACTO POLICIES*. <http://www.global-innovation.net/team/tiwari/PDF/exchange-rate.pdf>.

Turner P., 1991. *Capital flows in the 1980s: a survey of major trends*. <https://www.bis.org/publ/econ30.htm>.

Versluysen E., 1988. *Financial Deregulation and the Globalization of Capital Markets*. <http://documents.worldbank.org/curated/en/235201468764398871/pdf/multi-page.pdf>.

Whaples R., 1995. *Where Is There Consensus Among American Economic Historians? The Results of a Survey on Forty Propositions*. „The Journal of Economic History” Vol. 55, No. 1 pp. 134-155.

Xafa M., 2010. *Role of the IMF in the Global Financial Crisis*. https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2254002.